გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N11 (9191) | 20 აპრილი. 2016 წელი | ფასი 50 თეთრი

ერთი წლის წინ შექმნილი გაზქურა ნიგორზღვაში გამგებელმა აანთო

2

3

ჩემი პარტია იგია, ვინც გლეხს უშველის

ხვნა სამტრედიაში პირველ მაისამდე დასრულდება

რატომ უნდა მისცენ ხმა "რესპუბლიკელებს"?

4

"ლილეელები" ძველებური ცეცხლითა და ხიბლით

14 აპრილს არც პოლიტიკა და არც თანამდებობა არავის უნდოდა

4

22 აპრილი
დედამიწის დღეა!

დედამიწა ჩვენი სახლია

8

"რა ენა წახდეს, ერი დაეცეს წარეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!"

სასკოლო ინტელექტუალურმა კონკურსმა გამარჯვებული გუნდი გამოავლინა



5

ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს...

"მიეთოვოს, მოეთოვოს, კედლებს ფარშევანგები"

7

ერთი წლის წინ შეძენილი გაზქურა ნიგორზღვაში გამგებელმა აანთო

თეა ბაბუნაშვილი

პეტრე თარგამაძე და ჟორჟიკა ჩხაიძე ის ადამიანები ყოფილან, ''ლაშეს'' რომ ეძახიან ნიგორზღვაში, იმ ადგილზე ჩამომავალი წყაროს, გაყვანა, სასმელი წყლის პრობლემის მოსაგვარებლად, პირველად რომ უცდიათ მიმდებარე სოფლებში. ვერც მაშინ დაუთანხმებიათ მოსახლეობა ამაზე. გიგო თარგამაძეს, მეურნე და სოფლის მოამაგე კაცს, საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაურგავს ''ლაშეზე'' ჭადარი. სოფლის თავშეყრის ადგილი ასე გამხდარა აქაურობა. უყვართ და უფრთხილდებიან ''ლაშეს''. ამიტომ არ უნდათ აქ ჩამომავალი წყაროს წყალი მიმდებარე სოფლებში სასმელ წყლად გაიყვანონ. მაშინ ამ ნაკადით ვერ წამოვა, უნდა შეიცვალოს მისი დინება. საკირეს უბანში ჩამოდიოდა ამ მთიდან მომავალი წყაროს ერთი 'ფეხი'', მაგრამ გაქრა, ''შვიდფეხიანი'' წყარო უკვე ექვსიანი გახდა და ესეც აფიქრებთ აქაურებს. საჯავახოს თემის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემაზე, ''ლაშეს''. უბანში, გიგო თარგამაძის დარგული ასწლოვანი ცაცხვის ძირში საუბრობდა გამგებელი ვალერი ფოცხვერია, თემში გამგებლის წარმომადგენელ შავლეგო თარგამაძესა და მის თანამშრომლებთან, თამაზ მიქაშავიძესა და თამაზ დარსაველიძესთან ერთად. გამოჩინებული, საჯავახო და ჭოგნარი ის სოფლებია, ვერა და ვერ რომ ვერ მოუგვარეს სასმელი წყლის პრობლემა. ეს თემა არახალია. აქედან ჭოგნარი ყველაზე რთულ მდგომარეობაშია.

ნიგორზღვაში იმ დღეს ბუნებრივი აირის ასანთებად ჩავიდა ვალერი ფოცხვერია, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიასთან, გამგებლის მოადგილე მამუკა თავაძესა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროს მიხეილ ლეჟავასთან ერთად. თუ წყალი არა, გაზი ამიერიდან შეუზღუდავად ექნებათ აქაურებს. მაღალმთიან ამ სოფლებში ბუნებრივი აირის შეყვანა არაერთი წელია, საოცნებოდაც გაუგონარი გახლდათ აქაური მოსახლეობისთვის, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ესეც მათ შორის.

გზა, ბუნებრივი აირის მილები რომ მიჰყვებოდა, სულ უფრო მაღლა მიიწევდა მთაში. თავდაპირველად ბადრი გაგუას ეწვივნენ სტუმრები, სადაც სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობდა. შემდეგ ვახტანგ ახალაძის ოჯახში მივიდნენ. ვალერი ფოცხვერიამ თავად აანთო ქურა, ერთი წლის წინ რომ შეუძენია ოჯახს. დიასახლისმა ციცინო ქანთარიამ გაამხილა: ''მეუღლემ არაფრით ''ბალონზე'' არ გადამიკეთა, გაზი ამოვაო, მეუბნებოდა.''

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია აღნიშნავდა, რომ 2017 წლისთვის მუნიციპალიტეტის გაზიფიცირება საერთოდ უნდა დასრულდეს. გამგებელი ვალერი ფოცხვერია კი ამბობდა: ''პირველ ნიგორზღვაში უკვე დასრულდა გაზიფიცირების სამუშაოები, ამ თემის სხვა სოფლებში კი გრძელდება. ზაფხულის დასრულებამდე გაღმა ზონის გაზიფიცირებაც დასრულდება. ვიცე-პრემიერს პირად კონტროლზე ჰყავს აყვანილი ეს საქმე და ხშირად აკონტროლებს სამუშაოთა მიმდინარეობის როგორც გრაფიკს, ისე ხარისხს.''

საჯავახოს თემში გაზიფიცირების სამუშაოები დეკემბერში დაიწყო. საჯავახო მთლიანად გაზიფიცირებულია. ნიგორზღვაში კი თითქმის ერთი თვეა მიმდინარეობს. შავლეგო თარგამაძე აცხადებს: ''პირველი ნიგორზღვა დასრულდა. მალე მეორეც დასრულდება. რეჭის უბანსა და ჭოგარშიც მალე ავიღებთ სტარტს. მაისის ბოლოსთვის მთელი თემი გაზიფიცირებული იქნება. სამუშაოებს კომპანია ''სოკარ-გაზი'' ასრულებს. განსაკუთრებული მადლობა მოსახლეობის სახელით ამ ზონის მენეჯერებს, კოტე ნიკოლეიშვილსა და გია გიორგაძეს მინდა გადავუხადო. მადლობა გულისხმიერებისათვის ადგილობრივ ხელისუფლებას.

მექანიზატორი იყო ვახტანგ ახალაძე. მალე 80-ის გახდება იგი. სამი შვილის მამა და შვიდი შვილიშვილის ბაბუაა. ვაჟები გვერდი-გვერდ დაასახლა, ქალიშვილიც ახლოში გაათხოვა. ასე რომ, მისი ნაგრამი მშობლიური სოფლიდან არსად წასვლას არ აპირებს. 1963 წელს დამკვიდრდა ამ ფუძეზე. მანამდე უფრო მაღლა ცხოვრობდა ნიგორზღვაში. მეწყერს გამოექცა და ცოტა ქვემოთ ჩამოინაცვლა. კმაყოფილი? კმაყოფილი, რა თქმა უნდა, ძალიანაა იგი, ''კომუნისტების დროსაც არ გვქონია გაზი ამ სიმაღლეზე. ეს კი კაია ბატონო, მარა...'' ... მარა ხვნა უფრო სწრაფად უნდა მიდიოდესო, სწუხს. სოფელს საკუთრად ერთი ტრაქტორი არ ჰყავსო. მიწა მოუხნელი არ რჩებათ, თუმცა შრომისმოყვარე ჭარმაგ მოხუცს, შრომამ რომ გააძლებია და მოიყვანა აქამდე, მეტი უნდა.

რადგან სიტყვამ მოიტანა, შავლეგო თარგამაძე ამაზეც საუბრობს. ''თემს 200 ჰა აქვს სულ დასახნავი. 50 ჰა უკვე დახნულია. ძირითადად ნიგორზღვის ფართობებია დარჩენილი, თუმცა თუ უამინდობა არ შეგვიშლის ხელს, ესეც მალე დაიხვნება.''

საღამო ნელა წვებოდა ნიგორზღვის მთებზე. ეზოს შეფენილ შვილიშვილებს სტუმრების ხათრით ხმაურის უფლებას არ აძლევდნენ უფროსები. ისინი არც ისე ცოტანი იყვნენ ერთი ოჯახისთვის, თუმცა, სოფლის ასაღორძინებლად მეტი შვილიშვილი და ბევრი ოჯახია საჭირო! აქაურებისა არ იყოს, თუ ასე გაგრძელდა და ცოტა უკეთესი პირობები შეუქმნეს, იქნებ, კიდევ მეტმა არ დატოვოს სოფელი. ქვეყანა კი ასე უფრო სწრაფად ამოისუნთქავს.

ხვნა სამტრედიაში პირველ მაისამდე დასრულდება

ნინო ნანიტაშვილი

სახნავ ბარათებს მოსახლეობა მასობრივად აბრუნებს, საწვავის გაიაფებამ კერძო ტრაქტორებს მეტი სამუშაო მისცა, გლეხობას კი _ მიწა დროულად დახნული.

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ძირითადი დრო სწორედ საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებაზე საუბარს დაეთმო. სოფლებში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები რაიონის თავკაცს ამ კუთხით ერთგვარ ანგარიშს წარმოუდგენდნენ.

საკუთარ სოფელში გაჩაღებულ ხვნის პროცესზე იმ დღეს შენიშვნა ჰქონდა ვაჟა კოხრეიძეს. იანეთში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის დასაბუთებით აღმოსავლეთისა და დასავლეთის ტრაქტორთა ბრიგადების მუშაობის სპეციფიკა შესამჩნევად განსხვავებულია. აღმოსავლეთის ბრიგადას დასავლეთ საქართველოს მიწების დამუშავებაში ხარვეზები აქვს. ვაჟა კოხრეიძეს იმ დღეს არც საყანე ფართობამდე მისასვლელი დაზიანებული გზის მონაკვეთზე საუბარი დავიწყნია. დახმარებისათვის მან მუნიციპალიტეტის გამგებელს სპეციალურად მიმართა: ''მთავარი მაგისტრალის მშენებლობისათვის მდინარე გუბისწყლის ხეობაში მოიპოვებენ ქვიშა-ღორღს, სადაც არის ღრმულები დატოვებული. გუბისწყლის ადიდების დროს, რომელიც ხდება ხშირწვიმიანობისას, მიაქვს ხეობიდან მიწის დიდი ნაწილი, რომელიც საყანე ფართობებს აზიანებს და ამცირებს. წაიღო საყანე ფართობში შემავალი გზა, ჩავაყენეთ საქმის კურსში საგზაო დეპარტამენტი, ალბათ, მიიღებენ რაიმე ღონისძიებას.

რაც შეეხება ხვნის პროცესს, აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს შორის, მიწის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავება ისაა, რომ დასავლეთში არის დასამუშავებლად უფრო მძიმე ნიადაგი ვიდრე აღმოსავლეთში და აქედან გამომდინარე, ტრაქტორებსაც მეტ მძიმე რეჟიმში უწევთ მუშაობა და შესაბამისად, მწყობრიდან ხშირად გამოდიან ''.

ხვნის ტემპი არ აკმაყოფილებს საჯავახოს თემში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს. შავლეგ თარგამაძე დაბალ ტემპს მოსახლეობის ინერტულობით ხსნის: ''ზოგადად, 270 ჰექტარ სახნავ-სათეს მიწის ფართობს ვფლობთ. დღეის მაჩვენებლით 130 ჰექტარია დახნული. ძირითადად, დარჩენილია ნიგორზღვის მიწები. იქ მოსახლეობა პასიურობს. მათი ინტერესია, ფართობები გვიან დაიხნას. ვვარაუდობთ, რომ ხვნის პროცესი საჯავახოს თემში პირველ მაისამდე დასრულდება''.

ეწრის მოსახლეობის ნაწილი კატეგორიულ წინააღმდეგობას უწევს სოფელში შესულ ვეტერინარებს იმ მოტივით, რომ კონკრეტულად ჯილეხზე აცრის შემდეგ მეწველ ძროხებში რძის რაოდენობა მცირდება. ზოგიერთ შემთხვევაში საქონლის დაცემასაც ჰქონდა ადგილი. აღნიშნული ინფორმაციის ირგვლივ განცხადება ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა გააკეთა. რევაზ ივანიაძე მიიჩნევს, რომ საჭიროა მეტი ინფორმაცია, სოფლის მოსახლეობა სპეციალისტებმა დაარწმუნონ იმაში, რომ ჯილეხზე ვაქცინაცია სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და პირუტყვისთვის არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს: ''შარშანდელთან შედარებით ეწრის თემში აცრის მაჩვენებელი 30 პროცენტს აღწევს. შარშან 500 სული პირუტყვის აცრა მოხდა, წელს კი 180-მდე აიცრა. მოსახლეობა უკმაყოფილოა საჯარიმო სანქციებით, რომელსაც ვეტერინარიის სამსახური მიმართავს. ჩემი წინადადებაა, სასაკლაოებმა, ბაზრებმა კონტროლი გაამკაცრონ და არ ჩაიბარონ აუცრელი საქონელი''.



მიმდინარეობს ცხოველთა ვაქცინაცია

25 მარტიდან დაიწყო და მიმდინარეობს შინაურ ცხოველთა უფასო ვაქცინაცია ჯილეხზე, თურქულსა და ცოფზე.

აცრები, რომლებსაც ხელშეკრულებით აყვანილი ვეტერინარები აწარმოებენ, სახელმწიფო პროგრამით (უფასოა) მიმდინარეობს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამმართველოს სამტრედიის წარმომადგენლობის კომპეტენციაში აგრეთვე შედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სუპერმარკეტებში გასაყიდად შეტანილი სურსათის კონტროლი ვარგისიანობაზე, ვადაგასული სურსათის აღმოჩენის შემთხვევაში კი გათვალისწინებულია ჯარიმა და ხდება უვარგისი პროდუქტის განადგურება.

_ ''სამტრედიის მაცნეს'' საშუალებით თხოვნით გვინდა მივმართოთ მოსახლეობას _ გაგებით მოეკიდონ შინაური ცხოველების უფასო ვაქცინაციის ჩატარებას, აღვნიშნავთ რომ პირები, რომლებიც წინააღმდეგნი იქნებიან აცრან საკუთარი ცხოველები, დაჯარიმდებიან 100 ლარის ოდენობით. _ განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამმართველოს სამტრედიის წარმომადგენლობის ექიმმა ვეტერინარმა ზაზა მეგრელიშვილმა.

ლევან გაბრიავა

ჩემი პარტია იგია, ვინც გლეხს უშველის

თეა ბაბუნაშვილი

პირველივე კითხვა, რაც მამუკა ბიბილეიშვილს დავუსვით, ვაზისუბანში მიმდინარე მოვლენებში "ნაციონალური მოძრაობის" ღიად ჩართულობას ეხებოდა. მდინარე "ხევისწყალადან" ღორღის ამოღებით სოფელში ატეხილი აჟიოტაჟი სულ რამდენიმე დღის წინ "ნაციონალების" წაქეზებითა და პროვოცირებით შექმნილ პრობლემად მონათლა ადგილობრივმა ხელისუფლებამ. მაშინ ამ ოპოზიციური ძალის პროტესტი, საკრებულოს სხდომაზე სწორედ მამუკა ბიბილეიშვილმა დააფიქსირა და ამაზე ჩვენი გაზეთის წინა ნომერშიც გწერდით.

როგორც იგი აცხადებდა, გამგებელსა და ადგილობრივი თემის მაჟორიტარს ბოდიში უნდა მოეხადათ ამ ბრალდებაზე. ამჯერად კი სწორედ "ნაციონალები" აქტიურობდნენ საკითხის ირგვლივ. უფრო მეტიც, ვაზისუბანში მოსახლეობასთან შესახვედრად "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრები, პარლამენტარები: აკაკი მინაშვილი, ნუგზარ წიკლაური, ზურაბ მელიქიშვილი და ეკა ხერხეულიძე ჩავიდნენ. როგორც აგვიხსნეს, ადგილობრივების მოთხოვნის საფუძველზე, ამჯერად საკითხით საფუძვლიანად დაინტერესდა საპარლამენტო ოპოზიცია, ცხადია, ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად.

პრობლემა ცნობილია, დიდი რაოდენობით ღორღის მდინარიდან ამოღებას ადგილობრივები აპროტესტებენ. და ეს უკვე არაერთი დღეა. როგორც აცხადებენ, სოფლის დიდი ნაწილი წინააღმდეგია ამისა. 600 კაცზე მეტმა მოაწერა ხელი განცხადებას, ამ ფაქტის საწინააღმდეგოდ რომ დაიწერა. მიუხედავად ამისა, სამუშაოები მაინც დაიწყო. ადგილზე მისულებს მდინარის პირას მცხოვრები აცრემლებული ქალბატონი შემოგვეგება, მთელი ცხოვრების ნაშრომი წყალში მეყრება და ვიღაცის ჩაფულიანებას ეწირებაო. იქვე ჯერ ისევ ახალი ნარგავების გაჩეხვას შევესწარით. როგორც გაირკვა, ისინი მდინარის პირას მცხოვრებმა მოსახლემ თავად დარგო, რათა ბუნებრივი ნაპირსამაგრი ჰქონოდა.

მოსახლეობამ მუშაობა შეაჩერებია ტექნიკას, რომელზეც ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ეროვნებით ჩინელი მუშები მუშაობდნენ. სამუშაოების დასაწყებად თანხმობის სანაცვლოდ, ღორღის გატანით დაინტერესებული კომპანია, ადგილობრივებს დასაქმებას დაჰპირდა, "დასაქმებისაც რა მოგახსენოთ, მით უმეტეს, ტექნიკა მუშაობს და დასაქმებულებიც არიან ... ოღონდ სხვები, ადგილობრივებს ვინ დაეძებს, უცხოელები! ჩვენ რაში ვჭირდებით ამათ, ყველაზე დიდი, დარაჯად დანიშნონ ერთი-ორი კაცი და მორჩა! ამას კი სოფელი უნდა გადაჰყვეს." _ ჩიოდნენ მდინარის პირას შეკრებილები.

ისინი არა მხოლოდ ამ კონკრეტულ საკითხზე, იმაზეც სწუხდნენ, რომ თუ ასე გაგრძელდა, იმ სიღრმიდან, როგორც ამას კომპანია აკეთებს, ამ რაოდენობის ღორღის ამოღება ტოლების ახლად აშენებული ხიდის ბურჯს საყრდენს გამოაცლის და იგი ორ-სამ წელიწადში ჩაინგრევა. ამაზე პროფესიით მშენებელი ინჟინერი ანზორ მსხილაძე საუბრობდა. "კომუნისტების დროსაც, როცა პირველად ჩაინგრა ეს ხიდი, მდინარიდან ღორღის ამოღება იყო მიზეზი. ამჯერადაც იგივე მეორდება. ეს პროცესი, ნახევარი მილიონი კუბამეტრი ღორღის ამოღება, ამ ახლად აშენებულ ხიდს აუცილებლად დაანგრევს." _ ამბობდა იგი. გეოგრაფიის პედაგოგი თეიმურაზ ბოცვაძე მდინარის თავისებურებაზე ამახვილებდა ყურადღებას: "ვინც მდინარე იცის, ამას არ დაუშვებს. მით უმეტეს, რომ ეს ხიდები, ახლად აშენებულიც და მეორე ხიდიც, ამ მდინარეზე რომ არის გადებული, ხიმინჯებზე კი არა, ბურჯებზეა აგებული. ბურჯი სადღაც 5 მეტრზეა ჩაშვებული. 7-8 მეტრზე და მეტზე რომ ჩახვალ სიღრმეში და საყრდენს გამოაცლი, რად უნდა განსაკუთრებული ცოდნა, ვერ უნდა მიხვდე, რომ დაანგრევს ხიდს?! ამას ის გეოლოგებიც ადასტურებდნენ, ვინც ტოლების ხიდის მშენებლობაზე იყვნენ ჩამოსული. ასეთ შემთხვევაში ჩვენ პასუხისმგებელი არ ვართო, ამბობდნენ."

როგორც ადგილობრივები აცხადებდნენ, მათი მოტყუება სცადეს, თავიდან საუბარი ღორღის ამ რაოდენობით ამოღებაზე არ ყოფილა. თუმცა მაინც ვერ ითანხმებდნენ მოსახლეობას. უკვე ის რამდენიმე ადამიანიც წინააღმდეგია, ვინც აქამდე თანახმა იყო.

საუბრობდნენ, მუქარაზეც, თუ სამუშაო პროცესს ხელს შეუშლით, ყველას დაგიჭერთ, ექვსასივესო.

მუშაობის შეჩერება აიძულეს თუ არა, ხელმძღვანელობა ტელეფონის მეშვეობით დაინტერესდა, რატომ შეაჩერა სოფელმა კანონიერად მიმდინარე სამუშაოები.

"თუ გვერდით არ დაგვიდექით, არც ხიდი დარჩება აქ და არც სოფელი!" " მთავრობა გაჭირვების დროს უნდა ხალხს!" " მომაკვდავი ქმრისთვის რომ ვთხოვე დახმარება, 200 ლარი ძლივს მომცეს დიდი ხვეწნის მერე და თან რამდენი მალოდინეს, ახლა გვერდით უნდათ დგომა?" "თუ გააკეთებენ, საქმის მეტი რაა. ჯერ მარტო ტარიელას "პადჩებნიკი" რომ აქვს ჩამოვარდნილი, იმისთანა მანქანით რომ დადის, რამე რომ მოხდეს, სად მიდიან მერე!" "თუ ამოიღე ენა, პარტია ხარო. ჩემი პარტია იგია, ვინც გლეხს უშველის!" _ ისმოდა "ხევისწყალას" ნაპირზე, სადაც შეკრებილი ადგილობრივები მორიგეობის დაწესებასაც აპირებდნენ, რომ სამუშაოები არ გაგრძელებულიყო

ოპოზიციის პარლამენტარი წევრები მათი საკითხით დაინტერესებას და პარლამენტის სხდომაზე მის დაყენებას დაჰპირდნენ ადგილობრივებს. იქვე კი გარემოს დაცვის სამინისტროც ჩააყენეს საქმის კურსში, საიდანაც პრობლემით დაინტერესების პირობა, ამჯერად, სატელეფონო ზარით მიიღეს.



"სამტრედიის მაცნე" 2016 წლისაც ლიდერია

"ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირი გამოხატავს ღრმა პატივისცემას თქვენი საწარმოს წარმატებული საქმიანობის მიმართ. სასიამოვნოა, რომ თქვენი კომპანია სტაბილურად იკავებს წამყვან პოზიციებს ჩვენი ექსპერტების მიერ განხორციელებულ რეიტინგებში". _ ასეთი მიმართვით იწყებს წერილს შპს "სამტრედიის მაცნეს" დირექტორის, ბეჟან გოგიას მისამართით ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, მაკა კუტუბიძე და იქვე აკონკრეტებს _ "ასეთი მიღწევები მხოლოდ ეფექტური მართვისა და გუნდის კოორდინირებული მუშაობის შედეგადაა შესაძლებელი".

"სამტრედიის მაცნესთვის" ეს უკვე მეორე დამაჯერებელი გამარჯვებაა. კომპანიამ დაიკავა წამყვანი პოზიციები სტატისტიკური რანჟირების შედეგების მიხედვით და იმყოფება "რეიტინგი ოქრო საქართველოს საწარმოებს შორის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით". ასევე,

"რეიტინგი ოქრო და პირველი ადგილი იმერეთის საწარმოებს შორის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით."

შპს სამტრედიის მაცნე" მიწვეულია ეკონომიკის ლიდერთა XXXI დაჯილდოების ცერემონიაზე, რომელიც გაიმართება 2016 წლის 28 მაისს ბათუმში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირის მონაწილე შვიდივე ქვეყნის ყველაზე წარმატებული კომპანიები.

ნინო ნანიტაშვილი

ორთქლმავალი "ტანკა" 115 წლისაა

ჩვენი ქალაქი, მისი ზრდა-განვითარება ყოველმხრივ არის დაკავშირებული საქართველოს რკინიგზასთან. ამიტომ მელოკომოტივეებმა გადაწყვიტეს, დიდების კვარცხლბეკზე დაედგათ მათ განკარგულებაში არსებული უძველესი ორთქლმავალი "ტანკა". იგი 1900 წელს იშვა ნევისპირეთის ქალაქ პეტერბურგის გემთსაშენებელ მექანიკურ ქარხანაში. სწორედ იმ ქალაქში, სადაც დაირწა "დიდი ოქტომბრის" რევოლუციის აკვანი, ორთქლმავალი სხვადასხვა დროს, ელიზავეტოპოლისა და ბათუმის დეპოებში მუშაობდა, 1942 წლიდან კი სამტრედიაში დაიდო ბინა.

მძლავრი ელექტრომავლებისა და თბომავლების ეპოქაში მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი ორთქლმავალი მხოლოდ ჯართად თუ გამოდგებოდა, მაგრამ ჩვენმა რკინიგზელებმა, მას სხვა უფრო საპატიო მისია მიანიჭეს, რახანია, ვალმოხდილი, სამი რევოლუციის მოწმე ორთქლმავალი "ტანკა" (ასე ეწოდება ამ სერიის ორთქლმავლებს) დიდების კვარცხლბეკიდან გადაჰყურებს მთელ სამტრედიას, როგორც ძვირფასი რელიქვია, კავშირი წარსულსა და აწმყოს შორის.

გიორგი სტურუა
საპატიო რკინიგზელი



რატომ უნდა მისცენ ხმა "რესპუბლიკელებს"?

ნინო ნანიტაშვილი

კვირას, 17 აპრილს, თბილისში, "რესპუბლიკური პარტიის" კონფერენცია _ "დემოკრატიული მოდერნიზაციისთვის" ჩატარდა, რომელშიც პარტიის ლიდერებთან ერთად მთელი საქართველოდან მონაწილეობდნენ ეროვნული კომიტეტისა და საკრებულოების "რესპუბლიკელი" წევრები. ღონისძიების პირველ ნაწილში მონაწილეები მსჯელობდნენ ეკონომიკაში არსებულ პრობლემებზე, ხოლო მეორე ნაწილი _ "რესპუბლიკური პარტიის" პოლიტიკური დღის წესრიგი _ საპარლამენტო არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ", დახურულ ფორმატში გაიმართა.

შეხვედრაზე ძირითადად განიხილეს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები და მოახლოებული არჩევნებისთვის "რესპუბლიკური პარტიის" სამზადისი.

კონფერენცია მისასალმებელი სიტყვით გახსნა პარტიის თავმჯდომარემ ხათუნა სამნიძემ.

"ჩვენი პარტია შეიქმნა დამოუკიდებელი საქართველოსთვის ბრძოლისთვის. დღეს ბრძოლას ვაგრძელებთ ევროპული საქართველოსთვის, ჩვენი კამპანიით და პლატფორმით ჩვენ ახალ იმპულსს შევძენთ დემოკრატიულ მოდერნიზაციას საქართველოში!" _ მიმართა შეკრებილებს პარტიის თავმჯდომარემ.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი: "ჩვენ ვართ საქართველოს "რესპუბლიკური პარტიის" წევრები. "რესპუბლიკური პარტიის", რომელიც საქართველოსთვის არსებობს, საქართველოსთვის ზრუნავს და თითოეული ჩვენი გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლო, სასიკეთო და ყველაზე უფრო უკეთესი უნდა იყოს მოცემულ მომენტში. "რესპუბლიკელები" ვაწყობთ, ვაკეთებთ, ვშრომობთ ევროპული მოდელისთვის, ევროპული ცხოვრებისთვის".

თანაპარტიელების წინაშე კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა დავით ბერძენიშვილი (პარლამენტის ფრაქცია "რესპუბლეკელების" თავმჯდომარე): _ "ეს პარტია შეიქმნა საქართველოსთვის და ამ პარტიას არ აქვს არანაირი ვალდებულება სხვა პოლიტიკური პარტიის ან პერსონის მიმართ. ღირებულება არ არის თითოეული ჩვენგანის შესაძლებლობების გამოვლენა ამა თუ იმ თანამდებობაზე. მე მგონია, რომ "რესპუბლიკური პარტია" არის ორიენტირი, და არა მისი ნებისმიერი წევრი, ჩემი ჩათვლით".

სამტრედიიდან კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრნენ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე იმედა გოგავა და საკრებულოს "რესპუბლიკელი" წევრი მერაბ უორელიძე.

კონფერენციიდან დაბრუნებულ პარტიის ერთ-ერთ ლიდერს "სამტრედიის მაცნე" დაუკავშირდა და შეხვედრის შესახებ მასთან კომენტარი ჩაწერა. იმედა გოგავა, "რესპუბლიკური პარტიის" სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ეროვნული კომიტეტის წევრი: _ "აღნიშნული კონფერენცია, რომელიც ჩვენი დასავლელი მეგობრების ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა, ძირითადად პარტიის უახლოესი სამომავლო გეგმების შემუშავებას და წინასაარჩევნო სტრატეგიის დაგეგმას ემსახურებოდა. უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში, რესპუბლიკური პარტია დამოუკიდებლად წარსდგება ამომრჩევლის წინაშე, შესაბამისად ასაწყობია წინასაარჩევნო ინფრასტრუქტურა, მიმდინარეობს მუშაობა წინასაარჩევნო პროგრამის დახვეწაზე, გასავლელია მაჟორიტარების თემა და ყველა ის ნიუანსი, რომელიც ახასიათებს საარჩევნო კამპანიას. რაც შეეხება პარტიის მიერ სხვადასხვა საარჩევნო ოლქში წარსადგენ მაჟორიტარებს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს აქტიური კონსულტაციები, თუმცა ჯერჯერობით საბოლოო გადაწყვეტილებები მიღებული არ არის, თუმცა ერთმნიშვნელოვნად შემიძლია ახლავე განვაცხადო, რომ უკლებლივ ყველა "რესპუბლიკელი" აქტიურად იქნება ჩართული წინასაარჩევნო პროცესში, ჩვენ გვაქვს საკმაოდ დიდი გამოცდილება როგორ უნდა ავაგოთ საარჩევნო კამპანია, ვიცით, რა აწუხებს ჩვენს მოქალაქეებს, რისი გაკეთება შევძელით კოალიციურ რეჟიმში და რისი ვერა და კარგად ავუხსნით მოსახლეობას რატომ უნდა მისცენ ხმა "რესპუბლიკელებს" და არა სხვა რომელიმე პარტიას. ჩვენ, რესპუბლიკელები, ადამიანის უფლებების თანამედროვე ევროპული გაგების დამკვიდრების გზაზე, ვართ და ვიქნებით კონსტრუქციულიც, მკაცრიც და შეუპოვარიც! ჩვენ, გვაკისრია ვალდებულება, შევქმნათ როგორც საკმარისი სამართლებრივი _ ასევე, ინსტიტუციური მექანიზმები იმისათვის, რათა თითოეულმა ადამიანმა იგრძნობს თავი დაცულად და უსაფრთხოდ. აუცილებელია, თვალი გავუსწოროთ დღევანდელი და წინამორბედი ხელისუფლებების შეცდომებს, დავძლიოთ საკუთარ თავში საბჭოთა აზროვნება და ადამიანი ჭეშმარიტად დავისახოთ უმაღლეს ღირებულებად. პრიორიტეტი არის ადამიანის თავისუფლება, თანასწორობა და ბედნიერებისაკენ სწრაფვა!"

ბზობას გილოცავთ!

ბზობა, ბაიაობა ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი საუფლო მოძრავი დღესასწაულია. აღინიშნება აღდგომის წინა კვირა დღეს.

ქრისტიანული კულტის მსახურებაში ბზობის დღესასწაულის აღნიშვნა IV საუკუნეში შემოვიდა. ისე კი საწყისს ძველი ებრაული დღესასწაულიდან იღებს.

ბზობის დღესასწაულის შინაარსი სახარებაზეა დაფუძნებული, რომელშიც გადმოცემულია პასექის დღესასწაულზე დასასწრებად იესო ქრისტეს შესვლის ამბავი.

იერუსალიმში იესოს მოსახლეობა ზეიმით შეეგება.

მის სახედარს ზოგი ფეხქვეშ საკუთარ სამოსს უფენდა, ზოგი პალმის ტოტებს _ ბაიას და "ოსანას" შესძახოდნენ.

ბზობის დღესასწაულის რიტუალიც სიმბოლურად იმეორებს სახარებას ამ მოთხრობის ზოგიერთ დეტალს.

ბზობას მღვდელმსახურნი მლოცველთა მიერ მიტანილ ტოტებს აკურთხებენ, გალობენ "ოსანას" და ა. შ.

მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, პალმის _ ბაიას მაგივრობას ბზა ასრულებს, სწორედ აქედან წარმოდგება დღესასწაულის სახელწოდება _ ბზობა.

წითელი პარასკევი, დიდი პარასკევი

რელიგიური დიდმარხვის უკანასკნელი კვირის პარასკევია.

ქრისტიანულ რელიგიაში წითელ პარასკევს უწოდებენ დღეს, როცა ებრაელებმა ჯვარს აცვეს იესო ქრისტე.

ქრისტიანულმა ეკლესიამ აღდგომის წინა 48 დღიანი მარხვა დააწესა. მარხვის ბოლო კვირას ვნების შვიდეული ჰქვია, ამ შვიდეულის პარასკევს _ წითელი პარასკევი.

მართლმადიდებლურ ეკლესიებში ამ დღეს განსაკუთრებული რიტუალი სრულდება ქრისტეს ჯვარცმის სამახსოვროდ, რომლის დროსაც ტაძარში დასვენებენ გარდამოხსნას, ჯვრიდან გარდამოხსნილი იესო ქრისტეს გამოსახულებით.

წითელ პარასკევს მორწმუნენი სააღდგომო კვერცხს წითლად ღებავენ.

ამ დღეს არ შეიძლება ღვინისა და სხვა სასმელის დალევა.

ლევან გაბეჩავა

22 აპრილი დედამიწის დღეა!
დედამიწა ჩვენი სახლია

ლევან გაბეჩავა

"ჩვენ ბუნებაში ვართ _ იგი ჩვენშია... ცოცხალნიც მისი ვართ, მკვდარნიც".

ვაჟა

სრული ჭეშმარიტებაა ბუნების მესაიდუმლე ბრძენკაცის ამ სიტყვებში. ზუსტად არავინ უწყის, რამდენი წელია ბრუნავს ჩვენი ცოდვებით დამძიმებული, ჩვენგან მრავალგზის გულნატკენი დედამიწა.

ბრუნავს და ბრუნავს.

ათეული წლებია და კიდევ მეტი, რაც კაცობრიობა ჩვენი პლანეტის ბედზე ალაპარაკდა, თითოეული მისი ბინადარის ბედსაც რომ პირდაპირ უკავშირდება.

გახშირებულ ბუნებრივ უბედურ მოვლენებს: ქარიშხალი, ცუნამი, ღვარცოფი, მეწყერი, მიწისძვრა, გამყინვარება... ერთი სიტყვით, სტიქიურ მოვლენებს თავი რომ დავანებოთ, ჩვენივე უცნაურობითაც მრავალი თავსატეხი გავიჩინეთ ადამიანებმა და დედამიწაც დავაზარალეთ.

უმოწყალოდ ვჩეხეთ ტყეები...

დავანაგვიანეთ მდინარეები, ზღვები, წყალსაცავები...

მყრალი ოხშივარი სდის ჯერ კიდევ "პირღია" ნაგავსაყრელებს...

არ ვზრუნავთ გარემოს გამწვანებაზე...

ხე-მცენარეების, ბუჩქების, ია-ვარდის დარგვაც პოლიტიკურ ჭრილშია განხილული საქართველოში...

გზაფხულსა და შემოდგომაზე "ყველასგან შეუმჩნევლად" დღისით, მზისით მამასისხლად იყიდება საუკუნოვანი ხეთა მორები.

დიდი ხანია დავივიწყეთ ტერმინი _ ტყის შერჩევითი ჭრა...

შედეგები?

გახშირებული ღვარცოფები, გრიგალი...

დედაქალაქში ჭადრებს მშველელი გამოუჩნდა, არ ანებებენ თავგასულთ იმ მცენარეთა ხელყოფას, თბილისის სავიზიტო ბარათათ რომ იქცა და დედაქალაქის ჰიმნ-სიმღერად.

სხვა ქალაქებსა და მათ შორის სამტრედიაში არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვინმემ ფული იშოვა, ბიზნესის კეთება სურს, ქალაქში პრესტიჟულ უბანს თვალი დაადგა, ხეებს უპრობლემოდ ჭრიან, იქ კი უგემოვნო ჭრელაჭრულა შენობებს დგამენ.

არ გვგონია ყოველივე ქალაქის განვითარების გენერალური გეგმით იყოს გათვალისწინებული (არსებობს კი ასეთი გეგმა?).

ვიმედოვნებთ, 22 აპრილს _ დედამიწის დღეს მაინც გამოვალთ ქუჩებში, ბაღებსა და სკვერებში და თუნდაც ერთი ახალი ნერგით მივულოცავთ დედამიწას კიდევ ერთი წლით "დაბრძენებას".

მუნიციპალიტეტის გამგეობის გამწვანებისა, კეთილმოწყობის გაერთიანება ორი უწყების _ პანთეონის, სასაფლაოების, გამწვანების, კეთილმოწყობისა და კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანებათა შერწყმის შედეგად შეიქმნა. მის დირექტორად კი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი კაცი, ბატონი ელგუჯა კალაძე დაინიშნა.

ორი სამსახურის გაერთიანებას შტატების შემცირება არ მოჰყოლია, შეიქმნა სამსახურის აპარატი, სამი განყოფილება. ერთ განყოფილებას ალექსანდრე ჭანტურია, მეორეს ლევან სიხარულიძე, ერთსაც კი დავით ნინუა უხელმძღვანელებს.

ახლოვდება ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა, ამასთან დაკავშირებით გაერთიანების ძალებით დასუფთავდა მუნიციპალიტეტის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი.

ახლახან გაერთიანებას ილორის სასაფლაოს მიმდებარედ 3,5 ჰა ფართობი გადაეცა, უახლოეს ხანში მისი შემორაგვაა გათვალისწინებული.

_ 22 აპრილს დედამიწის დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი გვაქვს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების გასხვლა-გაკრეჭვა და ყვავილნარის გაშენება.

მინდა "სამტრედიის მაცნეს" საშუალებით საზოგადოებას ვთხოვო, ყველამ საკუთარ საქმედ მივიჩნიოთ ხე-მცენარეების გაშენება, მისასალმებელი იქნება ამ საშვილიშვილო საქმეში ახალგაზრდები თუ ჩაერთვებიან, განაცხადა ჩვენთან საუბარში ბატონმა ელგუჯა კალაძემ და ისიც აღნიშნა, მსიამოვნებს ჩემს უბანში ჩემი დარგულ კოპიტები რომ შრიალებენო.

ვიმედოვნებთ ახალშექმნილი გაერთიანება ახალი ძალით შეუდგება იმ საქმეთა ხორცშესხმას, რომლებიც ჰაერივით გვჭირდება თითოეულს, ჩვენს მომავალს.

მაშ ასე, იშრიალე დიდო მუხავ, იგუგუნე დედამიწავ!

14 აპრილს პოლიტიკა და არც თანამდებობა არავის უნდოდა

ქეთევან ჭელიძე

ერთხელ, 1801 წელს, ქართულმა ენამ დაჭარგა სახელმწიფო ენის სტატუსი. როცა კიდევ დადგა ამის საშიშროება, თბილისის ქუჩები ხალხით გაივსო. მთავრობამ ახალი კონსტიტუციის პროექტი შეიმუშავა და ორგანიზაციებსა და წარმოება-დაწესებულებებში მსჯელობის საგნად აქცია. როგორც წესი, საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა რესპუბლიკისთვის კოპირებული პროექტი ქართველებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. უკმაყოფილება 75-ე მუხლში შეტანილმა ცვლილებამ გამოიწვია, სადაც სიტყვა-სიტყვით ეწერა: "საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის. საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე იმ ენებისა, რომლითაც მოსახლეობა სარგებლობს, რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება". ეს ნიშნავდა, რომ ქართული ენა ისევ ჭარგავდა სახელმწიფოებრივ დანიშნულებას.

პროგრესულად მოაზროვნე სტუდენტებმა პეტიცია გაუგზავნეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რითაც ქართული ენისათვის სახელმწიფო სტატუსის შენარჩუნებას მოითხოვდნენ.

1978 წლის 14 დეკემბერს უზენაესი საბჭოს სხდომას, რომელსაც მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებიც ესწრებოდნენ მოსკოვიდან, საქართველოს კონსტიტუცია ახალი რედაქციით უნდა დაემტკიცებინა.

ის დღე არასოდეს ავიწყდება თბილისს და საქართველოს. სტუდენტების საპროტესტო მსვლელობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დაიწყო. გზადაგზა მას სხვა ინსტიტუტები და რიგითი მოქალაქეებიც შეუერთდნენ _ საქმე ეროვნული ღირსების შელახვას ეხებოდა. ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი და პარტია "ქართული ოცნების" ერთ-ერთი დამფუძნებელი სამტრედიაში, ბადრი ვაშაკიძე იმ დღეების შესახებ გვესაუბრება. უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი ერთ-ერთი იყო, ვინც თავის მეგობართან, სამხედრო აკადემიის სტუდენტთან, გოგა გაგუასთან ერთად მსვლელობას წინ მიუძღოდა. გვიამბობს, როგორი ემოციებით იყვნენ დამუხტული სტუდენტები, რომელთა გვერდით უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებიც იდგნენ. იყვნენ ისეთებიც, რომელთა აზრით, "ეს აქცია ერთ-ორ კაცს უნდა, თორემ დანარჩენი მაყურებელია"-ო.

მილიციელების რამდენიმე "კორდონი" უნდა გაერღვიათ, თუმცა, აქციის მონაწილეებს ისინი წინააღმდეგობას არ უწევდნენ და გზას უხსნიდნენ.

"სხვათა შორის, ყველა მათგანი არა რიგითი, არამედ მაღალჩინოსანი იყო. ქართული ენის დაცვა მათ ინტერესშიც შედიოდა. ზოგიერთები, ალბათ, პროვოკატორები, ქუდებს სტაცებდნენ მილიციელებს, მაგრამ ისინი მაინც არ ძალადობდნენ. _ გვიყვება ბატონი ბადრი. _ უფრო გამოცდილ ადამიანებს, რომელთაც კარგად ახსოვდათ 1959 წლის 9 მარტი, შესაძლო სისხლისღვრა აშინებდათ. სწორედ ამიტომ მომიტინგეებს ქუჩაში ნოდარ დუმბაძე და ჯანსუღ ჩარკვიანი გადაგვიდგნენ. ბატონი ნოდარიც პოპულარული ადამიანი იყო და ბატონი ჯანსუღიც, რომელსაც უკვე დაწერილი ჰქონდა "რწმენის კედელი". ყურადღება რომ არავინ მიაქციათ, მახსოვს, ნოდარ დუმბაძე როგორ ჩაჯდა, თავი ხელებში ჩარგო და რუსულად თქვა:" "ია ნე ზდეშნი, ჩტო ლი!"

უზენაესი საბჭოს შენობასთან ჯავშანტრანსპორტიორები იყო მობილიზებული, როცა ზურაბ პატარიძე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჩვენთან გამოვიდა, მათ დანახვაზე უკმაყოფილება გამოხატა: ესენი აქ ვინ მოიყვანაო. ენისთვის სტატუსის აღდგენა ქვეყნის ხელმძღვანელობასაც სურდა, მაგრამ მაშინ ყველაფერი მოსკოვიდან იმართებოდა. ჯარიც ამიერკავკასიის ოლქის უფროსს ექვემდებარებოდა. ის, თავის მხრივ _ საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს. საფრთხე მართლაც არსებობდა. რუსი ისეთია, შეიძლებოდა, უცებ მიეღო გადაწყვეტილება და ხალხისთვის ცეცხლი გაეხსნა. მართალია, დიდი კულტურის მქონე ერია, მაგრამ ძალის გამოყენებას არასდროს ერიდებოდა. პოლიტიკა მათ ხელში იყო. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მე-6 მუხლში ეწერა, რომ "საბჭოთა საზოგადოების წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ბირთვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხალხისთვის არსებობს და ხალხს ემსახურება". ეს გულისხმობდა, რომ სხვა აზრი არ უნდა გქონოდა, გარდა კომუნისტური იდეებისა. ამას ტრიბუნაზე ვერ გამოხატავდი, ამისთვის ციხე, სამსახურის დაკარგვა, ან, მინიმუმ, პარტიიდან გარიცხვა გემუქრებოდა".

ასეთ ვითარებაში ქუჩაში გამოსვლა და იმის მცდელობა, რომ უზენაეს საბჭოს გადაწყვეტილება შეაცვლევინო, რთულიც და დიდი საქმე იყო.

ახალგაზრდებმა მოთხოვნა წამოაყენეს, მილიციის მანქანაზე დამონტაჟებული ხმის გამაძლიერებლებით ესარგებლათ. თამარ ჩხეიძე ჟრუანტელისმომგვრელი ხმით კითხულობდა: "ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ!" როგორც ბატონი ბადრი იგონებს: "მისმა გამოსვლამ დიდი გავლენა იქონია მომიტინგეებზე. იქედან წამსვლელი და გამქცევი აღარავინ იყო. ნახევრად გამარჯვებულები ვიყავით, თუნდაც იმიტომ, რომ მილიციის მანქანიდან მიმართავდი ხალხს, ამის გამო უფლებაც ჰქონდათ, დაეჭირე. ეს სიამაყით გვავსებდა, თუმცა პატრიოტიზმზე მაშინ არავინ საუბრობდა".

თანდათან მომიტინგეთა მოთხოვნები გაიზარდა და მათ უზენაესი საბჭოს სხდომის ტრანსლირება მოითხოვეს. უნდოდათ, გამომსვლელებისთვის მოესმინათ. ასეც მოხდა. ისინი "შევარდნაძეს" სკანდირებდნენ. ხალხთან პირველად საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, თენგიზ მენთეშაშვილი გამოვიდა, რომელმაც საკითხის დადებითად გადაწყვეტა ამცნო ხალხს. თუმცა, ყველას შევარდნაძისგან უნდოდა მოესმინა სიმართლე. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პავლე გილაშვილმაც მიმართა მათ. "ბოლოს მაინც შევარდნაძე გამოვიდა. სულ შავი იყო სახეზე. განაცხადა, რომ ქართულმა ენამ სახელმწიფო ენის სტატუსი შეინარჩუნა და დავშლილიყავით.

ძალიან ბევრ მიტინგზე ვყოფილვარ, მაგრამ ეს განსაკუთრებული იყო. აქ არც პოლიტიკა და არც თანამდებობა არავის უნდოდა. აქცია გუნდურად შეკრული არ იყო, მაგრამ ყველას ერთი მიზანი ამოძრავებდა _ ქართული სახელმწიფო ენად დარჩენილიყო. მეგობარი მყავდა ხობელი, რომელმაც კარგად მხოლოდ მეგრული იცოდა და რუსული. ქართულად უჭირდა საუბარი და ისიც მიტინგზე იყო. გავეხუმრე, შენ აქ რა გინდა, ქართული არ იცი-თქო".

მიხეილ სუსლოვმა, რომელიც საბჭოთა კავშირის იდეოლოგიას წარმართავდა, შევარდნაძეს მუშაობა დაუწუნა: "საქართველოში ნაციონალიზმი ჰყვავის და პარტია ამას ყურადღებას არ აქცევსო. საკითხი პოლიტბიუროზეც უნდა გაეტანათ, მაგრამ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ლეონიდ ბრეჟნევმა ეს არ დაუშვა. მოგვიანებით შევარდნაძემ დასძინა, რომ პროექტის ინიცირება მისი მოთხოვნა იყო. ხოლო ბრეჟნევი დაჰპირდა, ვითარების გართულების შემთხვევაში საქმეში ჩაერთვებოდა. საქართველო ერთადერთი რესპუბლიკა იყო, პროტესტის ნიშნად ახალგაზრდობა ქუჩაში რომ გამოვიდა. უკმაყოფილება სხვა რესპუბლიკებმაც გამოთქვეს, მაგრამ წინააღმდეგობა ვერ გაბედეს. მას შემდეგ, რაც ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი შეუნარჩუნდა, ეს სხვა რესპუბლიკებზეც გავრცელდა. იმ დროისათვის წარმოუდგენელი რამ მოხდა _ რუსეთი დათმობაზე წავიდა.

1978 წლის 14 აპრილის მასობრივმა გამოსვლებმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მისცა ბიძგი საქართველოში.

ჩვენ ვაუკაცობა ძველთაგან მოგვდევს...

ლევან გაბეჩავა

მარადის ომებმა, თავდასხმებმა გამოაწრთეს, ჩამოქნეს ქართველი კაცის ვაჟკაცური სული.

ისტორიულ წყაროებში უხვად მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოში ძველად ხუთი წლის ასაკიდან ასწავლიდნენ თითქმის ყველა ცივი იარაღის ხმარებას, 19 სახეობის ჭიდაობას, 4 სახეობის კრივს, 5 ტიპის ხმალაობას, 15 სახის ცურვას... საოცრებაა, თუმცა რეალობა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ქართველები ჩინებულად ფლობდნენ საბრძოლო ხელოვნებას _ ხრიდოლს, რომელიც ყველა აღმოსავლურ ბრძოლაზე ძლიერია და ხელს უწყობს პიროვნების სულიერ და ფიზიკურ წრთობას.

ბრძოლის ხელოვნების ფლობასთან ერთად ქართველები ლომგული მეომრებიც იყვნენ.

"ლომებრ მყეფე, მტერთა სიხლთ მჩქეფე, იმერთა მეფე სოლომონ" _ ეს სიტყვები ამშვენებდა სოლომონ მეფის ბეჭედს.

პატარა კახი _ მეფე ერეკლე ისეთი ძალის პატრონი გახლდათ, რომ პირისპირ შერკინებისას ჭიპამდე გაუჩეხია მოწინააღმდეგე.

უფრო ადრე კი გორგასალი, მეფე დავითი, სააკაძე, უცხოეთში განფენილი ქართველი მამლუქები...

მუდმივ ჯარს სათავე აღმაშენებელმა დაუდო საქართველოში.

იყო გმირობა, აურაცხელი თავდადება, იყო შემთხვევები მუხანათური ღალატისა.

დრო მიდიოდა და მიდის.

ხმალი, ხანჯალი, შუბი... მძლავრმა იარაღმა შეცვალა.

დამოუკიდებელი საქართველოს პირმშოა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო აკადემია, რომელიც დავით აღმაშენებლის სახელს ატარებს. სწორედ ამ აკადემიის კურსდამთავრებული სამხედრო მოსამსახურეები არიან ის ახალგაზრდები, თავი რომ გამოიჩინეს ერაყსა და ავღანეთში, კოსოვოში წარმოებულ სამშვიდობო მისიებში.

იციან საქართველოში ფასი მშვიდობისა, მაშასადამე, იციან მეომრის, მებრძოლის დაფასებაც.

თუ მაშინ, როცა საქართველოში გორგასლიან-თამარიან-დავითიანი დროშა ფრიალებდა და გვყავდა ცხრა ძმა ხერხეულიძე, სამასი არაგველი, წყნეთელი მაია, წავკისელი თინა, ბუკისციხელი თამარი, დღეს ქართული ხუთჯვრიანი დროშისა და ერის ღირსების, სამშობლოს დასაცავად მტკიცედ დგანან ქართველი მხედრები, ერთიანობაში ქართულ არმიას რომ წარმოადგენენ.

ჩვენს დროშიც იბადებიან გმირები და დაიბადნენ კიდეც:

ლევან მელქაძე და მარლენ ბარამია, ლაშა თევზაძე და მიშიკო დვალიშვილი... ბევრი არიან ისინი.

ბრძოლა უიარაღოდ, არმია შეიარაღების გარეშე წარმოუდგენელია, ამდენად აუცილებელია, მძლავრი ავიაციის განვითარების საქმეში აკადემიკოს ალექსანდრე ნადირაძის წვლილზეც აღვნიშნოთ. ალექსანდრე ქართველის თეორიას და პრაქტიკას ემყარება ამერიკის თითქმის მთელი თავდაცვის სისტემა.

ჯეროვნად შეიარაღებული გაწვრთნილი არმია სახელმწიფოს საზე, ხალხის მშვიდობიანი არსებობის გარანტია.

დღეს, როცა ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, როგორც არასოდეს, ისეთი მნიშვნელობა აქვს იარაღის ფლობის ხელოვნებას, ტაქტიკას. ლელო კვლავ გასატანია...

დასაბრუნებელია აფხაზეთი, ოკუპირებული ტერიტორიები.

დიდება სახელოვან ქართულ არმიას.

დიდება ქართველ სამხედროებს!

ქართული არმიის დღეა 30 აპრილი!

ქართული ენის დღის დღესასწაული და მურმან ჯინორია სამტრედიაში

დავიწყოთ მცირე ისტორიული ექსკურსით. 1978 წლის 14 აპრილი. თითქოსდა, ერთი ჩვეულებრივი, ნათელი, მზიანი დღე. ყოველ შემთხვევაში ის ასე გამოიყურებოდა დედაქალაქში ახალჩასული ერთი სოფლელი ბიჭისათვის, რომელიც უნივერსიტეტთან ახლოს მცხოვრებ რეპეტიტორთან ემზადებოდა მათემატიკაში. და უცებ მის ცნობიერებაში სამყარო ამოტრიალდა...

ავტობუსიდან ჩასული ყმაწვილი მისთვის და არა მარტო მისთვის უჩვეულო გარემოში აღმოჩნდა, უნივერსიტეტთან ზღვა ხალხი შეკრებილიყო. იყო ლოზუნგები. იყო მიმართვები. ბიჭმა მაშინ პირველად ნახა სახურავახდილი "პობედა", რომლიდანაც რუპორით მოუწოდებდნენ ახალგაზრდობას, რომ მათ დაეწყოთ მსვლელობა მთავრობის სასახლისაკენ. ბიჭი ვერ მიხვდა მაშინ, თავად გაჰყვა, თუ ხალხის აზვირთებულმა ტალღამ გაიყოლა. გზადაგზა გაათვითცნობიერეს, რომ სახელმწიფო ენად რუსული ენის დაკანონებას გვიპირებდნენ მაშინდელი "უფროსი ძმები" მოსკოვიდან.

მელიქიშვილის პროსპექტით ფილარმონიასთან გასულებს ახლანდელი კოსტავას ქუჩიდან ამომავალი ხალხის ასეთივე ნაკადი შეუერთდა. აზვირთებული ხალხის მდინარე სულ უფრო და უფრო ტანმსხვილი ხდებოდა. რუსთაველის ძეგლიდან მოყოლებული ლენინის მოედნამდე გზის მარჯვენა სავალი მხარე ერთმანეთზე მიჯრით მდგარ ავტობუს "ёàç"-ებს დაეკავებინათ, მათში მუხლებზე ავტომატმომარჯვებული ავადსახსენებელი მერვე პოლკის სისხლისმსმელი ჯარისკაცები ისხდნენ და დაგეშილი ძაღლებივით ელოდებოდნენ მშვიდობიანი მიტინგის დარბევის ბრძანებას. ვინ იცის, როგორი მსხვერპლით დამთავრდებოდა ეს დღე, ასეთი ბრძანება რომ გაცემულიყო...

_მაღალი, ლამაზი ბიჭი ხომ არ გინახავთ, მაღალი, ცისფერთვალება ლამაზი გოგო ხომ არ შეგხვედრიათ? გზადაგზა გაისმოდა შვილის შესაძლო დაღუპვის შიშით მათ საძებრად ქუჩაში გამოსული სახეშეშლილი დედების შესაბრალისი კვნესა. მათ თაობას ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა 1956 წლის 9 მარტის მიტინგის სისხლიანი დარბევის შედეგები. ჰო, ყველა მშობლისათვის თავისი შვილია ქვეყნად ყველაზე მაღალი და ლამაზი. კარგი შვილებისათვის კი სამშობლოსა და მშობლიურ ენაზე მაღალი და ლამაზი არც იყო, არც არის და არც არასოდეს უნდა იყოს არაფერი.

"ახალგაზრდობის ადგილი უნივერსიტეტთან არის, ჩვენი ერთად დგომით დღეს წყდება დედაენისა და საქართველოს გადარჩენის ბედი!" გაისმა ახალი მითითება თავახდილი "პობედიდან" და ხალხის ნაკადი ორად გაიყო. ბიჭი კვლავ უნივერსიტეტთან აღმოჩნდა. ცოტა მოგვიანებით კი თვით უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შესულებს ამცნეს, რომ ქართული ენა და მისი წყალობით სხვა რესპუბლიკების ენებიც ინარჩუნებდნენ თავიანთ სტატუსს.

იყო უზომო სიხარული და აღტაცება, იყო მილოცვები, გადახვევები, იყო სიცილი და იყო სიხარულის ცრემლები. მაშინ სხვანაირად, უფრო გულით და ალალად უყვარდათ ადამიანებს ერთმანეთი.

მას შემდეგ ბევრი ბრძოლა გადაიტანა საქართველომ. დიდი მსხვერპლი გაიღო დამოუკიდებლობის ეკლიან გზაზე დამდგარმა ქართულმა საზოგადოებამ და მაინც, 14 აპრილი იყო პირველი ბიძგი მიყუჩებული და მიძინებული ქართული ეროვნული სულის გამოღვიძებისა.

"ო, ენავ ჩვენო, დედაო ენავ", იმ დღეებში ხშირად გაისმოდა სულმნათი ირაკლი აბაშიძის ლექსი _ "ხმა კატამონთან". ეს ქართული ენისადმი მიძღვნილი ჰიმნია და ის თითოეულ ქართველს გულზე უნდა ჰქონდეს ამოტვიფრული.

ახლა დღევანდელ დღეზე. ის პატარა შემთხვევით მომიტინგე ყმაწვილი გაიზარდა, ის თქვენი მონა-მორჩილი ბრძანდება და თუმცა პროფესიით ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი გახლავართ, მეც, როგორც შემიძლია, განგების ნებით, ვემსახურები ქართულ ენასა და ქართულ პოეზიას.

2016 წლის 14 აპრილს დიდი საჩუქარი მოუწყო სამტრედიის გამგეობამ და კულტურის განყოფილებამ სამტრედიის ინტელიგენციას და მოსწავლე-ახალგაზრდობას. ქალაქს სტუმრობდა გამოჩენილი მსახიობი და ქართული სიტყვის უბადლო ოსტატი, მურმან ჯინორია. ბატონი მურმანი ბატონ გიორგი ხარაბაძესთან, ბატონ გურამ საღარაძესთან და ქალბატონ ზინაიდა კვერენჩხილაძესთან ერთად ქართული სიტყვის ოსტატთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელთა ხელშიც ჩვენ აღვიზარდეთ და არ არსებობს უფრო დიდი ხელოვნება, ვიდრე მადლიანი სიტყვის ძარღვიანად თქმა. ეს კი ბატონ მურმანს სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი.

ორიოდე წლის წინ ბატონი მურმანი ამავე მონოსპექტაკლით ქალაქ ხონს ეწვია. იყო ხალხმრავლობა, იყო სამარისებური სიჩუმე, რომ ერთი ფრაზაც არ გაპარულიყო ბატონი მურმანის მიერ წაკითხული ლექსებიდან და იყო დიდი სირცხვილი, რომ მაშინ სასურველ სტუმარს დრო-ჟამისაგან იავარქმნილ და კაცთაგან მიტოვებულ, გაპარტახებულ კულტურის სახლში ვუმასპინძლეთ. ახლა ეს სასახლე აღადგინა ხონელმა საზოგადოებამ, ბატონო მურმან, და თუ ოდესმე, ღვთის ნებით, კვლავ გვეწვევით, რეგიონში კი არა, ალბათ, საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო დარბაზს და სცენას იხილავთ, რასაც ნამდვილად ისმახურებთ ქართული თეატრისა და კულტურის მოყვარულები.

კონცერტის შემდეგ ისე დიდი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დავწერე ლექსი _ "ჯინორია ხონში", რომელიც სამტრედიაში, სპექტაკლის დაწყების წინ, ფარდის უკან ეულად მჯდომ და სცენაზე გამოსვლის წინ კონცენტრაციის მოკრეფაში გართულ მსახიობს გადავეცი. მან მადლობა გადამიხადა და მითხრა, რომ ამ ლექსს, გასტროლებზე მოპოვებულ ექსპრომტებთან ერთად სათუთად შეინახავდა და რომ მსახიობისათვის ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის ყურადღება და სიყვარულია...

მერწმუნეთ, რაც სამტრედიის საზოგადოებამ ამა წლის 14 აპრილს ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სცენაზე იხილა, აბსოლუტურად იგივე იყო, რაც წლების წინ ხონში გამართული წარმოდგენა და ამიტომ ამ ლექსს ახლა პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ "ჯინორია სამტრედიაში". ამით მისი არსი არ შეიცვლება და ცოტა ხანში ამაში მკითხველიც დარწმუნდება.

დიდი მადლობა შეხვედრის ორგანიზატორებს. დიდი მადლობა მეუფე საბას, როგორც ბატონმა მურმანმა თქვა მას და მეუფე საბას საერთო სოფელი ჰქონიათ ძველ სენაკში და მას ამ ლამაზ სოფელში მეუფე საბას კურთხევითა და ხელშეწყობით ტაძარი აუშენებია, რითაც უდავოდ, კიდევ ერთი ძეგლი დაუდგამს სულის უკვდავსაყოფად და საცხონებლად.

ჯინორია ხონში

სცენაზე იდგა ხმელი წიფელი,
ხელებგაშლილი, ტოტებგაშლილი,
და პოეზიის ტატოს მერანი
მი და მოჰქროდა ფაფარაშლილი.
და როგორც ქარი ამ ტოტებიდან
ზუზუნ-ზუზუნით აფრქვევდა ლექსებს,
მხნედ იდგა და ჩვენც ეს გვაოცებდა,
რა უმაგრებდა დალექილ ფესვებს.
ჩამოიქროლა გრანელის ლექსმა,
ლექსმა მუხრანის, ნიშნიანიძის,
უსამანოა ნიჭიერება
ჯინორიათა ჯიშიანი ძის.
იყო მურმანის, ილიას, ლადოს,
ტიციანის და სხვათა მრავლობა,
სიცოცხლეში ხომ იცოდა გალამ,
რას იტყვის მასზე შთამომავლობა.
ლექსს _ ლექსი ცვლიდა, პოეტს _ პოეტი,
ის ერთი იყო და ყველას გასწვდა,
ლექსს აღარ უყვარს მიეთ-მოეთი,
ამოთქმა უნდა, რაც გულში ჩაგწვდა.
აქ სავსე იყო "ლოჟა, პარტერი",
არვინ გვერია "მილიარდერი",
ის კი აბოლებს ერთ ღერ პაპიროსს
და ლექსს ამოთქვამს, ლექსს უნაპიროს.
დროგამოშვებით მსმენელს მიმართავს:
_ შეკითხვა რამე ხომ არ გაქვთ ჩემთან?
არვინ არაფერს არ შეკითხვია,
ის მაღლა იდგა, ლექსთან და ღმერთთან.
აჰა. დასრულდა დღესასწაული,
ტაშის გრიალმა აავსო სცენა,
და დიდხანს, დიდხანს, დიდხანს გაგვყვება
ეს სიხარული და აღმაფრენა.
ლექსი ცხოვრებაა, ნაირფერადია,
ხან მაჟორია, ხანაც მინორია,
მდაბლად თავს გიხრით და ტაშით გაჯილდოვებთ
ლექსთ თქმის დიდოსტატო _ მურმან ჯინორია.

აკაკი რეშეაძე

სამოქალაქო განათლების სამოქალაქო აქტივობა

ნინო ნანიტაშვილი

14 აპრილი "დედაენის დღე" მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ორიგინალური ფორმით მიულოცეს სამტრედიელებს. ქალაქის ქუჩებში მიმოფანტული სასკოლო ფორმაში გამოწყობილი მე-9 და მე-10 კლასების მოსწავლეების ამოცნობა, თუ რომელ სკოლას წარმოადგენდნენ, საზოგადოებას არ გასჭირვებია. მე-3 საჯარო სკოლიდან მომავალ ახალგაზრდობას წინ ამ ღონისძიების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, სამოქალაქო განათლების პედაგოგი ლამზირა თევზაძე მიუძღოდა.

ისინი გზადაგზა შემხვედრ ადამიანებს ჯერ სიტყვიერად ულოცავდნენ "დედაენის დღეს" და თან აწვდიდნენ ფერად-ფერად ფურცლებზე ამობეჭდილ ბუკლეტებს, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე დატვირთვა ჰქონდა. ერთი მხრივ, მასში იყო მოკლე ინფორმაცია ქართული ენის დღის დაარსების შესახებ და მეორე მხრივ შეიცავდა ახალგაზრდების მიმართვას საზოგადოებისადმი. მათ შორის ამოიკითხავდით: "თუკი 1978 წლის 14 აპრილს ათიათასობით ქართველმა ერთად უთხრა უარი უცხო ენის გაბატონებას, დღეს ჩვენი ნებით კარს ვუღებთ და ყოველდღიურად ვამკვიდრებთ ჩვენს მეტყველებაში. უცხო ტერმინებით გავავსეთ ენა, რომელსაც ლადო ასათიანმა "ღმერთების ენა" უწოდა.

ვიყოთ ერთად, გავუფრთხილდეთ ჩვენს მშობლიურ ენას, ვიმეტყველოთ ქართულად, ნუ მოვეკიდებით მტრად ჩვენს სამშობლოს".

იდეა სამოქალაქო განათლების პედაგოგს, ლამზირა თევზაძეს ერთი თვით ადრე მოუვიდა. ამის შესახებ მან თავის მოსწავლეებს და სკოლის დირექციას უამბო. პედაგოგის ინიციატივას მე-3 საჯარო სკოლამ მხარი აქტიურად დაუჭირა. ლამზირა თევზაძემ მე-9 და მე-10 კლასების მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავა მიმართვის ტექსტი, ბუკლეტის ფორმა და სკოლის ფინანსური მხარდაჭერით სამასამდე ბუკლეტი დაიბეჭდა.

"დღევანდელ დღეს განსაკუთრებით მომრავლდა უცხო სიტყვები ქართულ ენაში. ამას ხელი შეუწყო სოციალური ქსელების აქტიურმა მოხმარებამ. ახალგაზრდობა ყოველდღიურ მეტყველებაში ისე თამამად იყენებს სოციალური ქსელებისათვის დამახასიათებელ ტერმინებს, რომ არც კი ცდილობს, მისი შესატყვისი ქართული მოძებნოს. ამიტომაც გადავწყვიტეთ, ამ ტიპის აქციის მოწყობა. ჩემთვის ძალიან სასიხარულო იყო, როცა ახალგაზრდობა განსაკუთრებული აქტიურობით ჩაება ღონისძიებაში. საზოგადოებაც საკმაო ინტერესით შეხვდა ინიციატივას, რის გამოც მადლიერებას ღიად გამოთქვამდნენ კიდეც". _ 14 აპრილს სამტრედიის ქალაქის ქუჩებში "დედაენის დღისადმი" მიძღვნილი აქციის შესახებ ასეთი განმარტება მოგვცა პედაგოგმა ლამზირა თევზაძემ.

აქციის მონაწილე გოგო-ბიჭებს მოსახლეობა ჯერ გაკვირვებით ხვდებოდა, ხოლო ინფორმაციის მიღების შემდეგ მათ მიმართ უსაზღვრო მადლიერებას გამოხატავდნენ. განსაკუთრებული ემოციით იმ დღეს გამოირჩეოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ლეჟავა. მისთვის სასიამოვნო იყო, რომ ქართული ენის დამცველებად 14 აპრილს ახალგაზრდები მოგვევლინენ: "მივესალმები და მიხარია, რომ დღევანდელმა თაობამ იცის ფასი ქართული სიტყვის, ქართული გრძნობის. ის, რომ ასე მასიურად არის მოფენილი ახალგაზრდობა სამტრედიის ქუჩებში და გვილოცავენ "დედაენის დღეს" და მისი წარმოშობის, ისტორიის ფასი იციან, ეს არის სასიამოვნო, თორემ ჩვენთვის, უფროსებისთვის კარგად ნაცნობია ის პერიპეტიები, რაც გადაიტანა ჩვენმა თაობამ, კონსტიტუციაში დარჩენილიყო ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა."

მსგავსი აქტივობები რომ სასარგებლოა და მისი ორგანიზატორები სათანადოდ უნდა შევაფასოთ და დავაფასოთ, ამის შესახებ "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტმა ელიზა ცხვირავაშვილმა ისაუბრა: "უდიდესი სიხარული დამეუფლა, როცა ლმწიფო ენად შენარჩუნებას დიდი ბრძოლა დასჭირდა. მადლობა მე-3 საჯარო სკოლას, ვინც ეს დღე ასე ლამაზად მოიფიქრა."

ბუკლეტებით ხელში მოსწავლეებს ქალაქის მოსახლეობა 14 აპრილს სად აღარ შეხვდებოდა.

ახალგაზრდებმა "დედაენის დღე" საჯაროდ მიულოცეს მომავლის პარკის წინ შემხვედრებს. ადმინისტრაციულ შენობაში შესულებმა თან სადღესასწაულო განწყობა შეიტანეს. მოსწავლეებს უყურადღებოდ არც სავაჭრო ობიექტები დაუტოვებიათ. იყვნენ პოლიციაში, სამედიცინო დაწესებულებებში, სააფთიაქო ქსელებში. ფერად-ფერად ბუკლეტებს შემხვედრნი სიამოვნებით ართმევდნენ და ვინ იცის, რამდენ სამტრედიულ ოჯახში დაიდო ბინა მოსწავლეების ხელით დამზადებულმა ბუკლეტებმა. თავიანთი აქტივობით ყველაზე მეტი კმაყოფილები თავად აქციის მონაწილეები ჩანდნენ.

"სამტრედიის მაცნემ" მათი მოსაზრებებიც მოისმინა.

თიკა მანჯგალაძე: "დღევანდელი დღით ბედნიერი და კმაყოფილი ვარ, რადგან მივიღე მონაწილეობა ამ აქციაში და მომეცა შესაძლებლობა, პირადად მიმელოცა მოსახლეობისთვის ქართველი ერის მნიშვნელოვანი დღესასწაული. ბედნიერი ვარ, რადგან უამრავი ადამიანი შეგვხვდა დიდი სიხარულითა და სიყვარულით, რადგან მივულოცეთ და არ დავტოვეთ ეს დღე უყურადღებოდ. ვეცდებით, კვლავ ჩავატაროთ მსგავსი სახის აქციები და მივულოცოთ მოსახლეობას ესა თუ ის ეროვნული დღესასწაული".

თეკა არველაძე: "ძალიან გამიხარდა, როდესაც დავინახე მომღიმარი სახეები, დაინტერესებული და ჩვენს მიმართ დადებითად განწყობილი საზოგადოება".

“მიეთოვოს, მოეთოვოს კედლებს ფარშევანგები”

ნათია ნაცვლიშვილი

ამ დარბაზს ასეთი ემოციური პუბლიკა, კარგა ხანია, არ ახსოვს. მაყურებელი წარმოდგენის დაწყებამდე ფეხზე წამოუდგა და ტაშით შეეგება ღირსეულ არტისტს, ვისი სახელიც განსაკუთრებულად დაუკავშირა ბედისწერამ ქართულ ლექსს, ვისი კითხვის უბადლო ოსტატობამაც თაობებს შეაყვარა ქართველი კლასიკოსები. მურმან ჯინორია სტუმრობდა სამტრედიას და გალაკტიონის საყვარელი ქალაქი აბა, რა ქალაქი იქნებოდა, ღირსეულ მსმენელად თუ არ იქცეოდა იმ საათნახევრის განმავლობაში, რომელიც მსახიობმა გვაჩუქა. “არ ვღირვარ, ბატონოო”, ჩვეულად ითავმდაბლა და ვიდრე მისი მეზნებარე “ლექსი მეხივით დაატყდებოდა თავზე მაყურებელს”, ღირსეული სამტრედიელისა და სულკურთხეული არტისტის, ეროსი მანჯგალაძის უკვდავება შეეგებინა.

“ქარი მწყურია მე პირდაპირი” _ ამ მონოსპექტაკლით წარსდგა მსახიობი ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სცენაზე. მონოსპექტაკლი ჯერ რუსთაველის თეატრში წარმოადგინა მან, შემდეგ კი, “ერთი მსახიობის თეატრში”. ამჯერად, მუნიციპალიტეტის გამგეობამ მართლაც დიდი საჩუქარი გაუკეთა თანაქალაქელებს ამ მასშტაბის არტისტის მოწვევით. აკადემიურ დარბაზსა და მსახიობს შორის უხილავი კავშირი დამყარდა და... სცენაზე მისი უდიდებულესობა ქართული ლექსი აბობოქრდა “ისე მჭერმეტყველებით, ისე ფერმეტყველებით”, როგორც ველოდით. მსახიობმა წაიკითხა ტერენტი გრანელის, ტიციან ტაბიძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძის, შოთა ნიშნიანიძის, ჯანსულ ჩარკვიანის... პოეტური მარგალიტები. ერთ ამოსუნთქვაში გაიქროლა მაყურებლის თვალწინ საქართველოს ისტორიამ, პოეტურ სიტყვაში გახმიანებულმა ქართულმა სატკივარმა თუ ოცნებამ (“ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია”), ჩვენმა ეროვნულმა ტრაგიზმმა, უგუნურებამ თუ ღირსებამ, სიყვარულის სახოტბოდ ნაწრთობმა ქართულმა სიტყვამ (ერთ ლამაზ ქალზე მარტო ერთი ლექსი დარჩება).

მსახიობმა მონოსპექტაკლი 3 ნაწილად დაჰყო, დაანონსა პოეტებიც, თუმცა, მაყურებელი იმდენად მოეწონა, სხვა პოეტთა კომპოზიციებიც წარმოადგინა. მესამე ბლოკი მთლიანად პოეზიის მეფეს, გალაკტიონს დაუთმო, ემოციის კულმინაცია კი ამ სიტყვებზე მოვიდა “რომ მეფე ვარ და პოეტი!” გალაკტიონის შემდეგ თითქოს მოეშვა კიდეც მსახიობი,

ოპ, უკვე ამოვისუნთქეო!

დარბაზში ისხდნენ: ჰუმანიტარებიც და ტექნიკური ბეგრაუნდის მქონენიც, იყვნენ მოსწავლეებიცა და ასაკოვანი ბატონები და ქალბატონები. ერთადერთი, რაც სპექტაკლის მსვლელობისას მათ სახეებზე იკითხებოდა, იყო უდიდესი აღფრთოვანება და კმაყოფილება, იყო სიყვარული თვალებში აღბეჭდილი და ტაშში გამოხატული. და თუკი ვინმეს იმ დარბაზში მყოფთაგან ოდესმე უფიქრია: “რა დროს ლექსიაო, მოუკვდეს პატრონი”, ალბათ, სპექტაკლის ბოლოს აზრს შეიცვლიდა. ლექსის მოყვარული ადამიანები თითებზე ჩამოსათვლელნიღა დაგვრჩენო, დაიწუწუნა ამას წინათ ერთ-ერთმა ახალგაზრდა პოეტმა. მურმან ჯინორიამ ამ მონოსპექტაკლით ყველა არაპოეტურ, გულგატეხილ, ოქროს დახარბებულ, სულიერებისაგან დაცლილ და შინაგანი ქაოსით დაღლილ ადამიანს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ყოველივე წარმავალია, აზრის ცხოვლად გადმოსაცემად კი დაიხმარა ჩვენი ბუმბერაზი გალაკტიონი: “მე კი ვარჩევდი ზღვას უნაპიროს, ცოტა სიყვარულს და ღერ პაპიროსს”. მსახიობმა წინასწარ დაანონსებული ლექსების წაკითხვის შემდეგ პეტრე ბაგრატიონის (გრუზინსკი), გურამ რჩეულიშვილისა და მიხეილ ქვლივიძის პოეტური მარგალიტებიც წაიკითხა.

მცირეოდენი პაუზა კი მოგონებებს დაუთმო. აი, ერთ-ერთი მათგანიც: “ქეთი დუმბაძემ მითხრა, რუსთავის კოლონიაში წიგნები მივიტანე, რომ კკითხე, რა თხოვნა ჰქონდათ ჩემთან, მითხრეს იქნებ მურმან ჯინორია გვესტუმროსო. ვინც არ “შემჭამდა”, არ გაიქცეოდა. როცა ჯანსულ ჩარკვიანის ერთ-ერთი ლექსი წავიკითხე, ერთმა პატიმარმა მკითხა, უკაცრავად, თქვენ წარმოშობით საიდან ბრძანდებითო? ვუპასუხე სენაკიდან-მეთქი. შეხვედრის ბოლოს ეს პატ-

იმარი მიუბრუნდა ციხის უფროსს და ეუბნება: კიდევ კარგი, რომ დამიჭირეთ, თორემ ამას ჩემს ცხოვრებაში ხომ ვერ ვნახავდიო. აი ამ, სიტყვებით მოგვეფერა”.

სპექტაკლის ბოლოს მან მადლობა გადაუხადა ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტს, მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, მეუფე საბას და მუნიციპალიტეტის გამგეობას. გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია სცენიდან გულთბილად მიესალმა მსახიობს და ხატი უსახსოვრა. “ვინ თქვა, ოცნებები არ სრულდებაო, მე დღეს ჩემს უსაყვარლეს მსახიობ მურმან ჯინორიასთან ერთად ვდგავარ სცენაზე”. _ განაცხადა მან.



მიუხედავად დაღლილობისა, მსახიობმა გულშემატკივრებს ავტოგრაფები დაურიგა, გადაიღო მათთან ფოტოები, ვისარგებლეთ ჩვენს ქალაქში ცოცხალი ლეგენდის სტუმრობით და ექსკლუზიური ინტერვიუც ჩავწერეთ:

_ თქვენმა წაკითხულმა ლექსმა ქართველთა მრავალ თაობას შეაყვარა ჩვენი დიდი კლასიკოსები, ახალგაზრდა პოეტები თუ ხვდებიან თქვენს რეპერტუარში?

_ მე ბევრი კომპოზიცია ჩამიწერია რადიოსა თუ ტელევიზიაში, 25 წლის წინ დავიწყე ამის კეთება, უკვე მივეცი მომავალ თაობას გზა და ეს ახალგაზრდებმა უნდა მოახერხონ, აკეთონ ახალგაზრდა პოეტების ასეთი კომპოზიციები და ჩაწერონ.

_ თანამედროვე პოეტთაგან ვინ იმსახურებს თქვენს სიმპათიებს?

_ ვისაც კკითხულობ, ეს თანამედროვეც არის და კლასიკაც... რაც მაქვს გულში, რისი მიტანაც მინდა მაყურებლამდე, ყველა იქაა. სპექტაკლი მივუძღვენი ტრაგიკულად გარდაცვლილ ახალგაზრდა პოეტ დათა გულუას, მხატვარ დათო კრაწაშვილის ლექსები ჩავწერე ერთი მსახიობის თეატრში...

_ თუ გახსოვთ შემთხვევა, რომელიმე დიდი პოეტი აღეფრთოვანებინოს თქვენს მიერ წაკითხულ ლექსს?

_ დიახ, აღუფრთოვანებია, მურმანიც, მუხრანიც, შოთა ნიშნიანიძეც. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ბატონმა შოთამ დამირეკა, ტელევიზიით წავიკითხე მისი ლექსები, ჯერ ასეთი სპექტაკლის სახე არ მქონდა მიცემული. მურმანი ხარ? _ მეკითხება, დიახ! _ ვუპასუხე. მე შოთა ვარ, ნიშნიანიძე, კაცო, ახლა ტელევიზიით ვნახე შენი წაკითხული “ჩქარი მატარებელი”, წავედი, ჩემი რჩეული გადმოვიღე, თავიდან წავიკითხე და ვთქვი, რა კარგი ლექსი დამიწერიაო!

დარბაზში მეგობარსა და კოლეგას შესანიშნავი მსახიობი, დავით კვირცხალია ელოდა. მას შეკითხვით მივმართეთ:

_ მურმან ჯინორიამ რამდენჯერმე გახსენათ, როგორ ფიქრობთ ღირსეულად შეხვდა სამტრედიული პუბლიკა ცოცხალ ლეგენდას?

_ მე გაორმაგებული შეგრძნება მაქვს დღეს. ვარ მაყურებელი ჩემი ღირსეული მეგობრის დიდებული შემოქმედების და ამავე დროს, მასპინძელიც. ჩემს თავს სამტრედიელად ვთვლი. ამას ემატება ის ემოცია, რომ ამ სცენაზე ავიდგი ფეხი, თუ ვინმე რაიმეს განიცდის, მე ვარ ასეთი პირველი რიგში.

პირველი ლექსი 10 წლისამ ამ სცენაზე წავიკითხე. დადუ ჩიგოგიძემ, ჩემმა პიონერხელმძღვანელმა, ულამაზესმა ქალბატონმა მასწავლა ლადო ასათიანის “ჩემი ქვეყნის ოქროყანა”. იმ დღიდან დაიწყო ჩემი წარმატებები, როგორც დღეს მურმანს ჰქონდა ტაში, ისეთივე ტაში მქონდა მეც მაშინ, 60-იან წლებში. ყველაფერი მომცა სამტრედიამ და ახლა, როცა მეც ასაკში შევდივარ, სამტრედია უფრო ძვირფასი და ძვირფასი ხდება ჩემთვის. ყოველ ზაფხულს აქ ვატარებ, ან მარანაში, მამისეულ სახლში ცხენისწყლის პირას. აქ მყავს სიდედრი, ძმა, ძმისშვილი, სამტრედიასთან მჭიდრო ურთიერთობას ვინარჩუნებ. დიდი მადლობა, ამ ქალაქს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩემს გვერდით იდგა, ვინც ცოცხლები არიან, ღმერთმა დიდხანს მიმყოფოს ყველანი.

“სხვა ოლიმპიადის” გამარჯვებულები გამოვლინდნენ

ნათია ნაცვლიშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია “მომავლისა და განვითარების ასოციაცია” სამტრედიელმა სტუდენტებმა ნინი მარჯანიშვილმა, მანანა ღოღობერიძემ, ნათია კუტალაძემ და ანუკი ჯანელიძემ დააფუძნეს. სამი მათგანი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ერთი კი ილიას უნივერსიტეტის სტუდენტია. მათი საქმიანობის მიზანი საინტერესო ახალგაზრდული პროექტების განხორციელებაა. ამჯერად კიდევ ერთი პროექტი განახორციელეს, რომელიც სკოლებში ზოგადი განათლების პოპულარიზაციას ემსახურება. სულ ახლახან ჩაატარეს “სხვა ოლიმპიადა”, რომელიც 3 ტურისგან შედგებოდა. ის თებერვალში დაიწყო, ფინალური ტური 2 თვის წინ დასრულდა და გამარჯვებული მოსწავლეები რამდენიმე დღის წინ “ნაციონალური მოძრაობის” ოფისში დააჯილდოვეს.

ნინი მარჯანიშვილი: “ოლიმპიადის მონაწილეებმა უპასუხეს ტესტურ შეკითხვებს, რომელიც მათ ანალიტიკურ და ლოგიკურ აზროვნებას ავლენდა. მათი შედეგები მულტიდისციპლინურმა გუნდმა განიხილა, შეთავაზებით ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა სკოლას შევთავაზეთ, მაგრამ ყველა არ გამოგვეხმაურა. საბოლოოდ 2 გამარჯვებული მე-2 საჯაროდან, ერთი მე-9 საჯაროდან გამოვლინდა, კიდევ ერთი გამარჯვებული უნდა გამოგვევლინა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ საუკეთესო ბავშვები იყვნენ, დავუმატეთ კიდევ ორი საპრიზო ადგილი და სულ 5 გამარჯვებული გვაყავს. ორივე მათგანი სკოლა “ცოდნიდანაა”. ეს პროექტი დასრულდა, არაერთი მსგავსი პროექტის განხორციელებას კვლავ ვგეგმავთ, სხვა ქალაქებშიც. ჩვენც კმაყოფილები ვართ და როცა მოსწავლეებს აზრი ვკითხეთ, თავადაც კმაყოფილნი არიან. შეტანილი იყო კითხვარში ისეთი საკითხებიც, რომელიც მოსწავლეთა თავისუფალ აზროვნებას ამოწმებდა და შეიძლება სულაც ვერ გეპოვათ სკოლის წიგნებში”.

“ზოგადი განათლების მაღალი დონის, ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების გამოვლენისთვის” მოსწავლეებს დიპლომები და ფასიანი საჩუქრებიც გადაეცათ. გამარჯვებულებს მიესალმა “მომავლისა და განვითარების ასოციაციის” დირექტორი ნათია კუტალაძე და წარმატებები უსურვა: “ჩვენ არ გვყოლია არანაირი დონორი ორგანიზაცია, არც დამფინანსებელი, ეს ყოველივე ჩვენი რესურსით შევძელით და შევეცადეთ, თქვენთვის მოგვეფიჭებინა მცირედი სიხარული”.

გამარჯვებული მოსწავლეები არიან: თემურ გერაძე, მარიამ მსხილაძე, გალაქტიონ ფახურიძე, ლუკა ტუღუში, ქრისტინე ჯაში.

"რა ენა წახდეს, ერი დაეცეს წარეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!"

საქართველოს პირველი მეფის, ფარნავაზის მეფობის მთავარი შედეგი ის იყო, რო მან სახელმწიფო ენად ქართული გამოაცხადა. მართვა-გამგეობა და საქმის წარმოება მხოლოდ ქართულად სრულდებოდა. მანვე შექმნა ქართული ანბანი და მწიგნობრობა, რაც ერთ-ერთი უდიდესი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ისტორიაში.

მას შემდეგ მრავალ გასაჭირს გაუძლო ქართულმა ენამ, ბევრ ქარტეხილში საზოგადოებამ დაიცვა ქართული ენა, ენა ღვთისმშობლისა, ენა მკვდრეთით აღმდგარი ლაზარესი, ენა ექვთიმე მთაწმინდელისა. რომელიც საბერძნეთში იზრდებოდა და ქართული გადავიწყებული ჰქონდა. ყმაწვილობაში მძიმე ავადმყოფობამ შეიპყრო, სასიკვდილო აგონიაში მყოფს, სენაკში ღვთისმშობელი გამოეცხადა, ხელი მოჰკიდა და ქართულად უთხრა: "არარაი არს ვნებაი შენთანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი". იმ წუთამდე ექვთიმეს ძლიერ უჭირდა ქართული და დიდად ნაღვლობდა ამის გამო. იმ ღამეს კი წამოდგა და დაიწყო ლაპარაკი ქართულად. ჯადოსნურმა ქართულმა ენამ, იგი სიკვდილს გამოსტაცა.

გამოიარა, ბევრჯერ გათელეს, ამოძირკვეს, მაგრამ ვერ წაშალეს, ვერ დაგვავიწყეს: შოთას, ილიას, ვაჟას, აკაკის და გალაკტიონის ენა, თუმცა არც თუ დიდი ხნის წინათ, 1978 წლის 14 აპრილს იყო მცდელობა ქართველებისათვის მშობლიური ენა წაერთმიათ და... მაშინ ერთ მუშტად შეკრულმა, აგრესიისა და სისხლის გარეშე, თავშეკავებულობითა და უდიდესი მოთხოვნით ქართველთა

როცა ასეთი წარმომავლობისანი ვართ, არ გვაქვს უფლება, არ ვუთხრათ ქება-დიდება ჩვენს ქართულ ენას, ჩვენს დედაენას და არ ჩავუნერგოთ მისი უდიდესი სიყვარული შთამომავლობას.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 2016 წლის 14 აპრილს მე-10 საჯარო სკოლის (დირექტორი ქალბატონი მაყვალა თევზაძე, დირექტორის მოადგილე ქალბატონი ნანა ნიკოლეიშვილი) ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრისა და ბიბლიოთეკის (ხელმძღვანელები: მარინა ცინცაძე და ანტონინა კახიანი) მიერ ჩატარებული ლიტერატურული კომპოზიცია თემაზე: "რა ენა წახდეს, ერი დაეცეს, წარეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!" იგი გახსნა მე-9 კლასის მოსწავლემ თომა ჩხაიძემ. საინტერესო იყო მისივე თანაკლასელების: მირანდა კაკულიას, სოფო ციცხვაიას, მაია ფოცხიშვილის, მარიამ ჯულაყიძის, ვახტანგ ლისენკოს, ნათია ჯიბაშვილის, მარიამ ბაკურაძის, ჯემალ თევზაძის რეფერატები ქართული ენის სიდიადეზე და გამორჩენილ ადამიანთა გამონათქვამებზე.

"რა არის ჩემთვის ქართული ენა" _ ეს იყო საკონკურსო თემა, რომელშიც თითქმის ყველა მეექვსეკლასელი ჩაება, მათ შორის გამოვლინდა საუკეთესო თემები, რომლის ავტორებიც იყვნენ: ბექა გიორგაძე, ირინა ვაშაკიძე, სალომე სულავა, ლუკა შენგელია, გაგი თევზაძე, საბა კიკაბიძე.

საინტერესო კვლევები ჰქონდა წარმოდგენილი ქართული ენის სიწმინდის დაცვაზე მეათეკლასელ ხატია სიხარულიძეს. მოსწავლეებმა: ნინო ადამიამ, სალომე კორძაიამ, ანანო ტყეშელაშვილმა, ნატა კაკულიამ, დავით შენგელიამ მხარი დაუჭირეს მაშინდელ სტუდენტურ გამოსვლებს და მეტი დამაჯერებლობისთვის სიტყვა თხოვეს ღონისძიებაზე მოწვეულ, სტუდენტური გამოსვლების მონაწილეებს ნანა ნიკოლეიშვილს და მანანა ჯულაყიძეს, რომლებმაც მოუთხრეს იმ რეალურ საშიშროებაზე, რაც მაშინ ემუქრებოდა ქართულ ენას.

ღონისძიების კულმინაცია იყო ლექსის ზეიმი, "ვინ უკეთესად წაიკითხავდა ქართული ენისადმი მიძღვნილ ლექსს". კონკურსში ჩაებნენ მოსწავლეები: მათე კვერნაძე, გუგა გეგეშიძე, ირაკლი ნიკურაძე, გიორგი ამაღლობელი, ლიზი ჩალიშქანი, რომელთა შორის კონკურსის გამარჯვებული გახდა მეხუთე კლასელი დავით ოჩიგავა.

ამ ღონისძიებამ დიდი სითბო და სიყვარული მოგვანიჭა ყველა იქ მყოფს.

ეს წერილი კი, ჩემო საყვარელო მკითხველო, ჩემეული სტრიქონებით მინდა დავამთავრო:

"ქართული ჩემთვის ყველაფერია,
ჩემი ენაა, ჩემი გენია,
ვიცი თოთხმეტში ერთადერთია
სიტყვაა ღმერთი და ქართულია!"

დალი ლამბაშიძე

ვინ მოკლა ილია...

ქართველი ერის ტრაგიკული ისტორიის თითქმის ჯერ კიდევ დაუსრულებელი ფურცელია უდიდესი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. ამ საკითხით დაინტერესება დღესაც გრძელდება და აქტუალობას არ ჰკარგავს. ამის დასტურად შემიძლია მოვიშველიო ირაკლი ღარიბაშვილის თაოსნობით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოძიებული ილიას მკვლელობის მასალებზე დაყრდნობით გადაღებული ფილმი "ვინ მოკლა ილია", რომლის შესახებაც მრავალი ვერსია არსებობდა.

ფილმის ნახვით დაინტერესდნენ მე-10 საჯარო სკოლის მე-10 კლასელები და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, მარინა ცინცაძის თანადგომითა და დახმარებით 2016 წლის 31 მარტს ჩაატარეს შემეცნებითი ღია გაკვეთილი თემაზე: "ვინ მოკლა ილია". გაკვეთილზე დასწრება ყველა დაინტერესებულ მსურველს შეეძლო. ეს არაჩვეულებრივი გაკვეთილი ფილმის ჩვენებით დაიწყო. მოსწვალეებმა: ხატია სიხარულიძემ და ნატა კაკულიამ გაკვეთილის მიზანი გაგვაცნეს. მათ სურდათ, მეტი გაეგოთ ქართველი ერის მამის შესახებ, იმაზე, თუ ვინ გაიმეტა, თუ ვინ დაახალა მზაკვრულად ტყვია ბუმბერაზ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ხალხისათვის საყვარელ ადამიანს. ფილმის ნახვამ (რომლის ჩვენებასაც შესანიშნავად უძღვებოდა მოსწავლე ანანო ტყეშელაშვილი) ბევრი კითხვა დაუგროვა მოსწავლეებს. მათ ინსცენირების სახე მისცეს ჟურნალისტურ გამოძიებას. მოსწავლე დავით შენგელიამ წიგნის "ვინ მოკლა ილიას" ავტორის, ალექსანდრე სიგუას როლი გაითავისა და გაესაუბრა იმ დროის საზოგადო მოღვაწეს, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანს, ყარამან ფაღავას, რომელიც ილიას დიდი მეგობარი იყო და დაინტერესებული ილიას მკვლელობის გამოძიებით. იგი მოსწავლე გიორგი რურუამ განასახიერა.

მოსწავლეებმა: მერაბ ზამთარაძემ, ლანა ზაქრაძემ, გიორგი ვაშაკიძემ, ლუკა ქალდანმა, სალომე კორძაიამ, ნატო ყაჭეიშვილმა, ნინო ადამიამ, ლელა დავითულიანმა და სხვებმა წიგნსა და ფილმს შორის გამოძიებული მასალების მიხედვით პარალელი გაავლეს: აზროვნებდნენ, მსჯელობდნენ, კამათობდნენ.

მოსწავლეთა საგამოძიებო საკითხებით დაინტერესებამ და ინტელექტმა მსმენელთა აღფრთოვანება გამოიწვია. სკოლის დირექტორმა ქალბატონმა მაყვალა თევზაძემ და სასწავლო ნაწილის გამგემ ქალბატონმა ნანა ნიკოლეიშვილმა მოსწავლეები შეაქეს და გაკვეთილი მოუწონეს.

თანამედროვე ტექნოლოგიებითა და გამოძიების ინტერესით დატვირთულმა გაკვეთილმა გულდაწყვეტით მათქმევინა, რომ ასეთი გაკვეთილი უფრო ფართო საზოგადოებამ უნდა ნახოს-მეთქი.

მიუხედავად იმისა, რომ მოღალატე ქართველებმა ფიზიკურად მოგვიკლეს ჩვენი უდიდესი მწიგნობარი, მასში სული ვერ მოკლეს. იგი მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, ილია მართლად აღიარა.

მჯერა, დიდი ილიას სული, მართლმორწმუნე ქართველებთან ერთად ჩვენი ერის გამთლიანებისათვის ზეციური საქართველოდან ილოცებს.

დალი ლამბაშიძე

"ვიმეტყველოთ ქართულად..."

14 აპრილი... ვზივარ "მომავლის პარკში" და ველოდები სკოლიდან მომავალ ჩემს პაწაწინა იმედებს. ამინდი აპრილივით ხალისიანია და ცაც უღრუბლო. ვფიქრობ, შევძლები თუ არა დღეს ჩემს მოსწავლეებამდე მიმეტანა 1978 წლის 14 აპრილის დაუჯერებელი ამბავი.

ფიქრებში გართულს, მე-3 საჯარო სკოლის ფორმაში გამოწყობილი, მშვენიერი გოგონა მომიახლოვდა, დღევანდელი დღე მომილოცა და ბუკლეტი მომაწოდა სახელწოდებით "ვიმეტყველოთ ქართულად".

გამახსენდა უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი, როდესაც ბავშვობის ნაჭუჭიდან გამოსული, ცხოვრებას დამოუკიდებლად ვიწყებდი. ამ დროს ყველაფერს სხვა ფერი აქვს, ყველაფერს სხვაგვარად უყურებ და ახალგაზრდული ენერგიით ავსებული, მართლა გგონია, რომ კავკასიონს კი არა, ჰიმალაის მთებს გადადგამ გვერდზე. ეს ენერგია თავისით არ მოდის. ის ყოველთვის, უფროსი თაობის მიერ, მომავალი თაობისადმი, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ჩადებული მუხტია, რომელსაც ვერანაირად ჩაახშობ, რადგან მატერიალურ განზომილებებში არ ჯდება. ხორცი უძლებია, სულს მცირედიც ჰყოფნის. ხორციელი საზრდო ჰა, ჰა... ას წელს თუ მიგაღწევინებს, სულიერი _ მარადიულად გაცოცხლებს. ამას გენის გაგრძელება ჰქვია.

დიდი სიყვარულით (ასე ეწერა ბუკლეტის ბოლოს) და როგორც მასწავლებელი, დიდი პატივისცემით მივესალმები მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეების აქციას, "დედაენის დღესთან" დაკავშირებით, რომელმაც ჩემს სიყმაწვილეში კეთილად და იმედიანად დამაბრუნა.

ლიკა პატარიძე
მელაურის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ასეთი იყო ქართველი

არა მარტო ქართული მიწა, არამედ სხვა ქვეყნის ველ-მინდვრებიც მრავალჯერ მორწყულა გმირ ქართველ მამულიშვილთა სისხლით.

ბრძოლის ხელოვნებით, თავდადებითა და ვაჟკაცობით ყოველთვის ანცვიფრებდა გადამთიელს ქართველი.

სოფელ ბაზოვკაში დაიბადა 1906 წელს დიმიტრი ამილახვარი.

სკოლაში სერგო ზაქარიაძესა და ილიკო სუხიშვილთან ერთად სწავლობდა, თუმცა ამ ორისაგან განსხვავებით, მისი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართა. სამშობლოდან შორს მოუწია ცხოვრება თავად ამილახვართა კიდევ ერთ წარმომადგენელს.

დიმიტრი ამილახვარი სამხედრო პირი იყო, შორს გაითქვა სახელი და იქამდე აღზევდა, რომ სამყარო აალაპარაკა.

საფრანგეთის სამხედრო აკადემიის ერთ-ერთ გამოშვებას წლების წინ დიმიტრი ამილახვარის სახელი რომ მიენიჭა, ბევრისთვის არ იყო ცნობილი ამ კაცის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი დამსახურება საქართველოს მეგობარი ფრანგი ხალხის წინაშე.

როგორც ვთქვით ამილახვარი სოფელ ბაზოვკადან იყო და, ამდენად, მის შენაერთსაც ბაზოვკას შენაერთად მოიხსენიებდნენ.

საფრანგეთი, ცენტრალური და ჩრდილოეთ აფრიკა, სირია... არასრული ჩამონათვალია იმ ქვეყნებისა, სადაც მტერს თავზარს სცემდა ტომითა და სულით ქართველი, მოწოდებით მეომარი, მებრძოლი ბაზოვკას შენაერთი.

განსაკუთრებულია დიმიტრი ამილახვარის დამსახურება საფრანგეთისა და ფრანგი ერის წინაშე.

ამაგი, ღვაწლი ჯეროვნად დაუფასეს ფრანგებმა, რაც იმითაც გამოიხატა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა დიმიტრი ამილახვარი საპატიო ლეგიონერის ორდენით დააჯილდოვა.

საქართველოში, თუ მის ფარგლებს გარეთ სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს, თითოეულ ქართველს კანონიერად შეუძლია იამაყონ ღირსეული წინაპრის დიმიტრი ამილახვარის ქართველობით, მისი სახელით.

110 წელი შეუსრულდებოდა ამ დღეებში გენერალ ამილახვარს.

ლევან გაბეჩავა

"ლილეელები" ძველებური ცეცხლითა და ხიბლით

ნათია ნაცვლიშვილი

"ო, ლილეო" _ მღერიან სულმხნე და უდრეკი ბუნების სვანები მზის საგალობელს. სამტრედიის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორული ანსამბლი სახელწოდებას "ლილე" ცხრა წელია ატარებს. "ლილე" მზეობას ცდილობს ამ პატარა, მაგრამ დიდი კულტურის მქონე ქალაქის ცხოვრებაში, ანსამბლი უკვე იქცა კულტურული მოვლენის სინონიმად, იქცა ბრენდად, რომლის ნოვაციურ პროექტებს სამტრედიის საზოგადოება მოუთმენლად ელის ხოლმე. ფოლკლორს შერწყმული თანამედროვეობა ის ნიშაა, ანსამბლმა კარგა ხანია რომ მოირგო. ამ ქალაქში, სადაც უამრავი დიდი ისტორიისა და ავტორიტეტის მქონე ქორეოგრაფიული ანსამბლია, ძნელია, არა მარტო თავი დაიმკვიდროს ახალმა ანსამბლმა, არამედ მისეული სიახლეც შესთავაზოს პუბლიკას. "ლილეს" ახალგაზრდა ხელმძღვანელის, გელა თურმანიძის, ქორეოგრაფ მაკა შეფარიშვილის, დამხმარე ქორეოგრაფის ფორა პაქსაშვილის და იდეების გენერატორის, მამუკა მხეიძის ძალისხმევით შეძლო, მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლების მხარდამხარ ღირსეულად გააგრძელოს მოღვაწეობა. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მუსიკოს კოტე მალანიასთან თანამშრომლობა, რომელიც მუსიკალური კომპოზიციების ავტორია.

მე-7 მეგა პროექტი ვაჟა-ფშაველას უკავშირდებოდა, ამჯერად "ლილე" ახალ პროექტზე "ქართლოსიანნი" მუშაობს, მანამდე კი, ბულგარეთში ტურნეს გეგმავს. უცხოური გასტროლის წინ ანსამბლი საანგარიშო კონცერტით წარსდგა საყვარელი მაყურებლის წინაშე. ფოლკორულმა თეატრმა წარმოადგინა პროექტი, "ლილეს სამყარო".

ეკრანზე სარეკლამო კლიპი იქნა ნაჩვენები, სადაც ერთგვარად შეჯამდა ანბსამბლის ისტორია და განვლილი გზა, მოვისმინეთ ცნობილ მოცეკვავეთა შეფასებები. კარგად გვახსოვს, როცა "ლილემ" პროექტი "იავნანამ რა ჰქმნა?!" წარმოადგინა, ლეგენდარული მოცეკვავე ომარ მხეიძე ავიდა სცენაზე და განაცხადა: მე ასეთი რამ არ მინახავსო!

ამჯერად "ლილე" 9 ცეკვით წარსდგა ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სცენაზე. შესრულდა: "ქალაქური", "კინტაური", "აფხაზური", "აჭარული", "უკრაინული", "ოსური", "კავკასიური", "კავური" და ფინალურ აკორდად ქართული ბუნება-ხასიათის შესანიშნავი გამომხატველი ცეკვა "ხორუმი" იქცა. ოვაციების და საყოველთაო აპლოდისმენტების ფონზე დაეშვა ფარდა. მანამდე კი, ანსმაბლის მისამართით კეთილი სურვილების და სითბოს გამოსახატავად დარბაზში მსხდომთ დიდი ზომის ფლაიერები დაურიგდათ, შთაბეჭდილებები მაყურებელს დიდხანს გადაჰქონდა ფურცლებზე.

მამუკა მხეიძემ კონცერტის დასასრულს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა "ლილეს" ყველა მხარდამჭერს, კომპოზიტორ კოტე მალანიას, დიზაინერ მანია ვაშაკიძეს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელ ტატა გოგუაძეს, რომელიც კონცერტის დღეს სამტრედიაში არ იმყოფებოდა და ამავე სახლის დირექტორის მოადგილე, ქალბატონ ელიკო ანკვაბს. მერე სცენაზე მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია მოიხმო, რომელიც განსაკუთრებულად გულუხვი იყო კომპლიმენტების გაცემაში, მან წარმატებები უსურვა ანსამბლს უცხოური ტურნეს წინ და აღნიშნა, განსაკუთრებულ სიახლოვეს "ლილესადმი" იმიტომ გრძნობს, რომ ანსამბლში მისი საყვარელი დისშვილი ერეკლე ხუჭუა ცეკვავს.

კონცერტის შემდეგ თანაქალაქელებისაგან გელა თურმანიძე მოლოცვებს იღებდა. "სამტრედიის მაცნეს" კომპოზიტორმა ნონა ჭახნაკიამ განუცხადა: "ძალიან მაგარი კონცერტი იყო, ბავშვები შემოქმედებითად ძალიან გაზრდილები არიან, დღეს უკვე სხვა სანახაობა შემოგვთავაზეს გელამ, მაკამ და მამუკამ, ბრწყინვალე ჰარმონიული კავშირია ამ ადამიანებისა ეს ანსამბლი, ამიტომაც ყოველთვის კარგია მათი შრომის ნაყოფი. ჩვენ ყოველთვის გვიხარია თქვენი წარმატება".

გელა თურმანიძე: "ანსამბლის ფოლკორულ თეატრში გაერთიანებულნი არიან ასაკით უფროსი ბავშვები, სულ 60 ბავშვია, 45 ბავშვია, ანსამბლ "ლილეში" სადაც შედარებით პატარები გვყავს. ჩვენთან არიან დღეს ჩვენი ანსამბლის გამოზრდილები, ისინი გვგულშემატკივრობენ და ეს ძალიან გვიხარია".

მამუკა მხეიძე: "ანსამბლი მალე ბულგარეთში მიემგზავრება. ქალაქ ვარნის მერიის და ბულგარეთის კულტურის ატაშეს გადაწყვეტილებით დაიგეგმა ეს ტურნე. იგი თანამედროვე კომუნიკაციების, ინტერნეტ-სივრცის დამსახურებაა, მათ გვთხოვეს მასალა, მისი ნახვის შემდეგ დაგვიკავშირდნენ და მიგვიწვიეს. გაისად ანსამბლი მოკრძალებულად აღნიშნავს 10 წლის იუბილეს. უკვე გვაქვს კურთხევა მეუფისაგან და საპატრიარქოსაგან, წარმოვადგინოთ სცენარი "ქართლოსიანნი", მასში ჩვენი ისტორია გაცოცხლდება, ეს იქნება ქართული ხალხური ქორეოგრაფია თანამედროვეობის ჭრილში დანახული და იქნება ძველსა და ახლის საინტერესო სინთეზი".

კონცერტის შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს კომენტრები ვთხოვეთ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია: "ძალიან ამაღლებული განცდით ვტოვებთ დარბაზს. "ლილე" თავის კურსს არ გადაუხვევს, მჯერა კიდევ მეტ წარმატებას მიაღწევს. აქ შესანიშნავი თაობათა ცვლა იქნება".

კობა ძიძიგური, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: "შესანიშნავი ბავშვები არიან, შესანიშნავად ცეკვავენ, მე უფრო მეტად ქართული ცეკვის მოლოდინით შემოვედი დარბაზში და ულტრათანამედროვე ორიგინალური ვერსიებიც შემოგვთავაზეს".

ვალერი ფოცხვერია: "მე ვიცნობ ამ ბავშვებს, ამ ანსამბლს, ეს არის ნაზავი თანამედროვეობისა და წარსულის. მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელიც ძველ, ტრადიციულ ქართულ ცეკვებს ანიჭებს უპირატესობას, ძველისა და ახლის სინთეზი, რაც დღეს იყო წარმოდგენილი, ძალიან მოსაწონი იყო".

ნირველები ნირველი საჯაროდან

თეა ბაბუნაშვილი

... ანუ პირველკლასელები, რომელთა პირველი პედაგოგი ნონა ჯინჭარაძე გახლავთ, თოთხმეტ აპრილს ეწვივნენ მუნიციპალიტეტის გამგეობას. "დედაენას" პატარა გულებით მოეფერნენ "დედაენის დღეს" და ყველა მათგანს, ვინც მათი გულწრფელობა დაინახა, ერთი ღიმილიანი დღე აჩუქეს. "სიყვარულის, ლექსის სადღეგრძელოს ენა", ლამაზი ფრაზებით შეამკეს. "აი იაზე მიყოლებულ პატარა თითებს, უფლის წინაშე სალოცავი ქართული ჰქვია"; "ია, აი ია _ სულის სიმებია" და კიდევ ბევრი ლექსად შესხმული ხოტბა, ფრთიანი ფრაზა ისმოდა მათგან.

პროტოკოლით გათვალისწინებულ სხდომებს მიჩვეულ დარბაზში უჩვეულო სანახაობა იყო. ანბანთან, დედაენასთან, ქართულ კოლორიტთან მიმსგავსებული და დაკავშირებული არაერთი საინტერესო რეკვიზიტი იდგა. ყველა მათგანი იმ პატარების მშობლების შექმნილი გახლდათ, უფროსებს თავს რომ აწონებდნენ საკუთარი ცოდნითა. კრეატიული მშობლების კრეატიული შვილები კი განსაკუთრებული მონდომებით გამოთქვამდნენ ძნელად წარმოსათქმელ სიტყვებს და არც არტისტულობა აკლდა.

პროექტით, "ჩემი ლამაზი ქართული ასოები", ღონისძიებაზე მუშაობა ჯერ კიდევ ოქტომბერში დაიწყეს, ანუ მაშინ, როცა მშობლიური ანბანის პირველივე ასოები შეისწავლეს. ნონა მასწავლებელი, რომელსაც პატარებთან მუშაობის 28 წლიანი გამოცდილება აქვს და უკვე მეშვიდედ გახდა პირველი მასწავლებელი პირველკლასელებისთვის, ამბობდა, რომ "სულ უფრო ნიჭიერი და იმედისმომცემი თაობები მოდიან. ისინი ერთმანეთს არ გვანან, უფრო გონებამახვილები, პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონენი არიან. ვცდილობ სულიერება და ეროვნულობა მეტად გავაღვივო მათში. პასუხისმგებლობა, ერს საიმედო მომავალი გაუზარდოს, ყველა პედაგოგის თანდაყოლილი თვისებაა. მეამაყება ჩემი პატარები და მეამაყება, მათი პირველი წარმატების მიზეზი მეც რომ ვარ!"

"ვფიქრობ, მთელი ცხოვრება დაამახსოვრდებათ ჩემს პატარებს, თქვენი დატვირთული დროიდან რამდენიმე წუთი რომ დაუთმეთ. ამასთანავე, მათი დედიკოების კრეატიულობა მინდა აღვნიშნო, მე დავტკბი მათი ნამუშევრებით. თქვენც გირჩევთ მათ დათვალიერებას." _ ამ სიტყვებით პირველი საჯარო სკოლის დირექტორმა ხათუნა ფაილაძემ გამგეობის სხდომათა დარბაზში შეკრებილებს იქვე სახელდახელოდ მოწყობილი გამოფენის დათვალიერება ურჩია.

გამგებელმა ვალერი ფოცხვერიამ სათითაოდ ყველა მოსწავლეს, მათ პედაგოგსა და სკოლის დირექტორს საჩუქრად წიგნები გადასცა, პატარებს კი წარმატებები და ცოდნის მწვერვალების დაპყრობა უსურვა.

ჭოგნარის სკოლაში 9 აპრილის გმირები გაიხსენეს

27 წლის წინ თბილისში, რუსთაველზე დატრიალებულ 9 აპრილის ტრაგედიას ღონისძიება მიეძღვნა ჭოგნარის საჯარო სკოლაში. "9 აპრილის ტკივილიანი გაზაფხული" _ ასე ერქვა ღონისძიებას, რომელიც ერთობლივად მოამზადეს ჭოგნარის კლუბის გამგე მადონა მსხილაძემ და მუსკის პედაგოგმა ქეთევან მეფარიშვილმა. სკოლის დირექტორმა, იზოლდა ვაჩეიშვილმა 9 აპრილის სისხლიანი კვირა გაიხსენა, მოსწავლეებს ამ ტრაგედიის შესახებ მოუთხრო. ღონისძიებაში სკოლის მთელი კონტინგენტი ჩაერთო. 9 აპრილის გმირების სურათებთან სანთლები დაანთეს მოსწავლეებმა, ლექსები თქვეს, იმღერეს პატრიოტული სიმღერები.

ღონისძიება 9 აპრილის ჰიმნად ქცეული სიმღერის "ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები" (შემდეგ ეროვნული ჰიმნით) დაასრულეს პატარებმა.

ჭოგნარის კლუბის გამგე მადონა მსხილაძე

სასკოლო ინტელექტუალურმა კონკურსმა გამარჯვებული გუნდი გამოავლინა

ნათია ნაცვლიშვილი

მე-10 საჯარო სკოლის დარბაზი სრულად გადავსებული იყო მოსწავლეებით. სამოქალაქო კლუბის "მომავალი ჩვენია" (კლუბის მეურვე ეკატერინე ფოცხვერია) ახლად შემუშავებული პროექტის ფარგლებში, რომელიც სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებას ემსახურება, ინტელექტუალური კონკურსი ჩატარდა. პროექტის ფარგლებში რამდენიმე საგანში იგეგმება მსგავსი კონკურსის მოწყობა, ამჯერად პირველი შეჯიბრი ისტორიაში მოეწყო და საგნისა და კონკურსის მიმართ მოსწავლეთა მიერ გამოვლენილი ინტერესი მართლა შესაშური იყო.

ერთმანეთს 8 გუნდი შეეჯიბრა. ეს გუნდებია: 1. "განეშა" (ინდუიზმის ღვთაება განეშა სიბრძნეს და წარმატებას განასახიერებს), 2. "ნიკე" მე-8 კლასი, 3. "ნიკე" მე-9 კლასი, 3. "ედელვაისი", 4. "პანაცეა", 5. "პაცეფიკი". 6. "არგო", 7. "შინდლერი", 8. "ლაიონი" (ლათინურად ლომს ნიშნავს). ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ: სკოლის დირექტორი თამარ თევზაძე, ისტორიის პედაგოგი თეა ყენია, გეოგრაფიის პედაგოგი სონია ნუცუბიძე, ქიმიის პედაგოგი გულიკო ნიშნიანიძე. გუნდებმა შეფასება წარდგინებაშიც დაიმსახურეს, კაპიტნებს ორიგინალურად უნდა წარედგინათ თავიანთი გუნდები. შეკითხვები მოსწავლეებს წინასწარ ჰქონდათ მომზადებული, შესაბამისად, ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა არც გასჭირვებიათ. უბრალოდ, ფორტუნა მის მხარეს იქნებოდა, ვინც სისწარტით და მობილიზებით დასჯაბნიდა მოწინააღმდეგეს.

ვინ იყო კაცი, რომელსაც 12 000 გამაჰმადიანებული ქართველი ჰყავდა პირად დაცვაში? ვინ მოუღო სპარსეთში აქემენიდების სამეფო დინასტიას ბოლო? რა ერქვა პირველ ქართულ ჟურნალს? რატომ არ მართავდა ალექსანდრე მაკედონელი ბრძოლებს ღამით? (ამას თურმე გამარჯვების მოპარვად თვლიდა). მსგავს საინტერესო კითხვებს მოსწავლეებმა პასუხი გასცეს და 4 ლიდერი გუნდი გამოიკვეთა: "ნიკე" მე-9 კლასი, "ედელვაისი", "პანაცეა" და "არგო". კონკურსის გამარჯვებულის გამოსავლენად კაპიტნების კონკურსი გაიმართა. გუნდ "არგოს" კაპიტანმა, მე-10 კლასელმა ანანო ტყეშელაშვილმა მოწინააღმდეგე გუნდის კაპიტანი დასჯაბნა და გამარჯვებაც მოიპოვა. გამარჯვებული გუნდის კაპიტანს ბუს ფორმის სუვენირი ჟიურის თავმჯდომარემ და სკოლის დირექტორმა თამარ თევზაძემ გადასცა და განუცხადა:

"მადლობა სამოქალაქო კლუბის მეურვეს, ეკატერინე ფოცხვერიას, რომელმაც გაგიჩინათ სურვილი, მოგემზადებინათ ისტორიაში შეკითხვები და თქვენი განათლების დონე უფრო ამაღლებულიყო, მივესალმები ამ პროექტს, რომელიც უთუოდ ხელს უწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებას".

უახლოეს ხანში სხვა საგნებშიც მოეწყობა ანალოგიური კონკურსი და პროექტი თანდათან უფრო საინტერესო გახდება.

მათი თვალსაზიერი ფართოა

ნათია ნაცვლიშვილი

მე-10 ბაგა-ბაღში (მმართველი ქეთევან შაშიაშვილი) საინტერესო ინტეგრირებულ აქტივობაზე გვიმასპინძლეს. პედაგოგ ია შანიძის აღსაზრდელებმა (5-6 წლიანთა ჯგუფი, თანაშემწე ია კორძაძე). შეიძლება ითქვას, ყველაზე ცნობისმოყვარე მსმენელის მოლოდინიც კი გაამართლეს. მოსწავლეებმა მართლაც ძალიან დიდი ცოდნა და გონებამახვილობა გამოამჟღავნეს.

იციან ამ პატარებმა, რომ პირველი კალენდარი ეგვიპტელებმა გამოიგონეს, რომ წელიწადში 365 დღეა, რომ დღეების, კვირეების, წლების ერთობლიობას კალენდარი ეწოდება. შესანიშნავი ცოდნა გამოავლინეს გეოგრაფიაში, ისტორიაში, რელიგიაშიც, რომ ქართველი მეფეები ბაგრატიონები იყვნენ, თუ ადრე მეფეები გვყავდნენ, ახლა პრეზიდენტები გვყავსო, გვითხრეს პატარებმა. იციან ჩვენი სახელმწიფო დროშის ფერი და მოხატულობა. შესანიშნავად პოულობენ რუკაზე საქართველოს კუთხეებს და მდინარეებს, იციან, რომელი სახელმწიფოები ესაზღვრება ჩვენს სამშობლოს. მათი თვალსაწიერი კიდევ უფრო ფართოვდება და დედამიწის 6-ვე კონტინენტზე გვესაუბრებიან. იციან, ვინ გამოიგონა ტელესკოპი.

მასწავლებელმა მზეზე საუბრის შემდეგ პატარებს შთააგონა, რომ სიკეთე მზეს ჰგავს, ანათებს და ათბობს, რომ სიკეთესთან ერთად მეგობრობა და სიყვარულია უკვდავი და პოემა, რომელიც ამ გრძნობებს ეხება, "ვეფხისტყაოსანია".

იმღერეს ლამაზი სიმღერები, აგვიმაღლეს განწყობა და დაგვემშვიდობნენ.

მე-10 ბაგა-ბაღი მშობლიურია გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილისთვის, ამდენად განსაკუთრებულად სასიხარულო იყო მისთვის ასეთი კარგი აქტივობის ხილვა. "სიტყვები არ მყოფნის, აღფრთოვანება გამოვხატო, ეს ბავშვები მართლაც დროს გასწრებულნი არიან. არაჩვეულებრივად აზროვნებენ, მეც და ჩემი ძმიშვილიც აქ აღვიზარდეთ, მიხარია, რომ აგრძელებთ ამ ტრადიციებს, ვერ ვფარავ სიხარულს". _ განაცხადა ქალბატონმა ლიზამ.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელი ხათუნა ახობაძე: "მეც იგივეს გეტყვით, ლამაზები და ჭკვიანები ხართ, ასეთი ცოდნით გაგრძელეთ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებშიც. მადლობა მასწავლებელს ასეთი შრომის შედეგი რომ გვაჩვენეთ".

ხათუნა გაგუა, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში: "ია მასწავლებელო, დიდი მადლობა, მართლაც შრომა გაქვთ ჩადებული, თქვენ ყველას ერთნაირად ამეცადინებთ, ყველასთვის იხარჯებით".

მანანა გოდუაძე, სკოლამდელი დაწესებულებათა გაერთიანების მეთოდისტი: "ამ სკოლაში წლების მანძილზე შრომის შედეგს იმკიან. პედაგოგების შრომა სახეზეა, ბავშვებმა შესანიშნავად წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობები, უნარ-ჩვევები, ეს პედაგოგის დაუღალავი შრომის შედეგია.

მე-10 ბაგა-ბაღის მეთოდისტი, ნანა კორძაია: "იამაყებს ის სკოლა, სადაც ეს ბავშვები წავლენ, ია მასწავლებელი დაუღალავად შრომობს და შედეგიც სახეზეა".

აქტივობას დადებითი შეფასება მისცა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მეთოდისტმა, იზო ხუჭუამ.

პედაგოგის და ბავშვების მიმართ კმაყოფილება ასევე გამოხატა ქეთევან შაშიაშვილმა და დაგვპირდა რომ ის არაერთხელ გვიმასპინძლებს სანიტერესო და შთამბეჭდავ გაკვეთილზე.

ემოციების და ფერების სამყაროში

ნათია ნაცვლიშვილი

გარეთ ბუნება გაზაფხულობს, კულაშის საბავშვო ბაღის (მმართველი ეკა ბელთაძე) დარბაზში კი, ნამდვილი გაზაფხული დაგვხვდა. პედაგოგების უშრეტ ფანტაზიას საგაზაფხულო ბუნების ფერები და ტონები ბაგა-ბაღის სივრცეში გაეცოცხლებია.

ჯერ შერეულ ჯგუფს ვუსმენთ, 4, 5, 6 წლიანები აღმზრდელ ქსენარი იობაშვილს (თანაშემწეები მთვარისა კიკაჩეიშვილი, თამილა ბენიძე) იმდღევანდელი აქტივობის თემაზე _ ემოციებზე ესაუბრებიან. სიხარული, წყენა-მოწყენა, გაბრაზება, შიში _ პატარებმა შესანიშნავად აღწერეს ოთხივე ეს ემოცია, სიხარული შოკოლადივით ტკბილიაო, დასძინეს მეტის გამომსახველობით. სხვადასხვა ცხოველების გამოსახულებით მათმა პაწაწინა თითებმა ბუტერბროდებიც კი მოამზადეს, რომელთაც სათანადო ემოციები აღბეჭდოდათ სახეზე. ღიმილის უპირატესობაშიც დაგვარწმუნეს პატარებმა, დაკარგულად ჩავთვალეთ ის დღე, ერთხელაც რომ არ გაიღიმებთო.

მერე ახლად გარემონტებულ დარბაზში გვიმასპინძლეს, უამრავი ლამაზი დეკორაციის ფონზე 2-3 წლისები, ბაგის აღსაზრდელები შემოფარფატდნენ. გაზაფხულის ფერები _ ასეთ თემატურ დავალებას შესანიშნავად გართვეს თავი პაწაწინებმა პედაგოგ მაია ყუბანეიშვილისა და მუსიკის პედაგოგ ინგა გეგეშიძის დახმარებით. მთელი კომპოზიცია შეჰქმნეს: ნაწვიმარზე მოსული სოკოების, მღელვარე ზღვის, მასში მყოფი თევზების, ფრთაფარფატა პეპლების მეშვეობით. "რა ფერია ტალღა? მომაწოდე ფუნჯი!" _ თითქმის ყველა ფერს თავისი სიმღერა მიუსადაგეს. მერე უფროსებს დაეთმო ისევ სცენა და... 5-6 წლიანებმა ყველა ემოციას მიუსადაგეს შესაბამისი ლექსი თუ სიმღერა. სანახაობა მართლაც შთამბეჭდავი იყო, პედაგოგების მიერ გაწეული შრომა _ თვალსაჩინო. გაებაასნენ ერთმანეთს მოწყენილი გოგონები და გაბრაზებული ბიჭები. ბურთის დევნა, ხეზე ძრომა თქვენი საქმე არ არისო და ბურთი არ დაუთმეს ბიჭებმა გოგონებს, მერე ოთხივე ემოცია გაერთიანდა და სურათი ერთად გადაიღეს. ღონისძიება კი პატრიოტული სიმღერით დაასრულეს: "ჩემო ლამაზო ქვეყანავ, შენ კი გენაცვალე..."

ღელავდა სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების მეთოდისტი მანანა გოდუაძე, რომელიც მუხტის მიმცემი იყო ამ საინტერესო წარმოდგენისა, სანახაობის შემდეგ გაერთიანების უფროსის ახალმა მოადგილემ, ხათუნა გაგუამ მადლობა გადაუხადა ქალბატონ მანანასაც და პედაგოგებსაც უდიდესი შრომისათვის. "არაჩვეულებრივი ღონისძიებაა, მადლობა, იმხელა სიყვარული ჩაგვიღვარეთ გულში, შესანიშნავი, დაუვიწყარი დღე გვაჩუქეთ".

იმ დღეს კულაშის ბაგა-ბაღს სხვა ბაღების პედაგოგებიც სტუმრობდნენ. მე-2 ბაგა-ბაღის მუსიკის პედაგოგმა ლელა ჯოგლიძემ, მე-4 ბაგა-ბაღის პედაგოგმა ციცინო ფესვიანიძემ, 1-ლი ბაგა-ბაღის მუსიკის პედაგოგმა ნათია ბოჭორიძემ, მე-4 ბაგა-ბაღის პედაგოგმა მაკა დვალიშვილმა ძალიან მოიწონეს ღონისძიება, უამრავი აპლოდისმენტიც მიუძღვნეს პატარებს და მათ პედაგოგებს. მეთოდისტი ნანა კორძაიაც შეუერთდა მათ ამ განწყობას და განაცხადა, რომ მოკლე დროში დიდი შრომის ფასად მოეწყო ასეთი ლამაზი ღონისძიება. კულაშის ბაგა-ბაღის მმართველი კი კიდევ მრავალ საინტერესო სანახაობას დაგვპირდა.

“ყველაფერი ადრეული სჯობია სიკვდილის მეტი”

მე და ევა ბარბაქაძე ერთი ასაკის ვართ, ჩვენ ყველაფერი წინ გვაქვს: კარიერა, ოჯახი, ბედნიერება. ევა არის ლამაზი, საყვარელი, მხიარული, გულკეთილი გოგონა. მისი პოპულარობის კიდევ ერთი მიზეზი დედაა _ მსახიობი შორენა ბეგაშვილი.

შორენა ერთ გადაცემაში ამბობს: მე და ევა თითქმის ერთად გავიზარდეთ, ევა კი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასიაო. რამდენიმე დღის უკან მოხდა შემზარავი ფაქტი: ევა მეხუთე სართულიდან გადმოვარდა, მიიღო ძლიერი ტრავმა, საჭირო გახდა ოპერაციის გაკეთება. სანამ ევა გოწზე არ მოვიდა, დედა განადგურებული იყო შვილის გამო. სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა, რომ ევამ თვითმკვლელობა სცადა. ეს ფაქტი კი მხოლოდ ვარაუდია.

ძალიან არ მესიამოვნა საზოგადოების ერთი ნაწილის დამოკიდებულება ევას მიმართ, როგორ შეუძლიათ ადამიანებს ასეთ დროს იყვნენ უგულოები, უზნეოები, ბოღმიანები. როდესაც კომენტარებენ: ამხელა გოგო მე-5 სართულიდან როგორ გადმოვარდა, შტერი თუ არ არისო და კიდევ უამრავი რამ. წარმოიდგინეთ, ევა რა ცუდად გახდება, როცა ამ კომენტარებს ნახავს. ჩემს გარშემო მყოფები, იმის მიუხედავად, რომ ევასთან პირადი შეხება არ ჰქონიათ, ძალიან ეწყინათ და გულთან მიიტანეს ეს ამბავი. არავის გამოუხატეს უარყოფითი ემოცია. ევას შემთხვევაში გაამარჯვა სიკეთემ. ევამ გადაიტანა ორი ოპერაცია წარმატებით, რასაც მთელი გულით ვულოცავ. ზოგიერთ ჟურნალისტსა და სოციალური ქსელის მომხმარებელს კი მოვუწოდებ, რომ დაუზუსტებელი ინფორმაციის გამოქვეყნება არაა საჭირო, როცა არც ერთი დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობს. ევას კი ვთხოვ, როცა გამოჯანმრთელდება, გვაამბოს, სინამდვილეში რა მოხდა.

პირველად სუიციდის მნიშვნელობა და ტკივილი შევიგრძენი ბორჯომში, როდესაც მოზარდმა ბიჭუნამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ყველას აინტერესებდა რატომ გაკეთა მან ეს. დღეს კი თანამედროვე ცხოვრებაში ბევრი მოზარდი მიმართავს მას. რატომ უნდა გაუჩნდეს 12 წლის ბავშვს თავისი ცხოვრების ხელყოფის სურვილი, როდესაც ყველაფერი წინ აქვს. რა უტრიალებს ამ დროს თავში. იქნებ, ეს ოჯახში მომხდარი უთანხმოების მიზეზია, ან უმედო სიყვარული. საკუთარ თავში ჩაკეტილობა, არასრულფასოვნება და კიდევ სხვა მრავალი. მაგრამ გამოსავალი ყველგან და ყოველთვის არსებობს.

თვითმკვლელობის დროს თითოეული ადამიანი თითქოს დიდი ორმოს ერთ ნაპირზე დგას, როდესაც შესაძლებელია ადვილ ხერხს მიმართოს _ ჩახტეს შიგ ან ნახოს გამოსავალი, იბრძოლოს, იწვალოს და გადავიდეს მეორე მხარეს, სადაც მისთვის ძვირფასი ადამიანები ელიან. ამ დროს თითოეულმა იფიქრეთ ბედნიერ მომენტებზე თქვენთვის საყვარელ ადამიანებზე, რომლებსაც ძალიან უყვარხართ. გააანალიზეთ, რას აკეთებ, ეცადეთ ნახოთ გამოსავალი, ნუ ჩაიდენთ ცოდვას. დაფიქრდით ადამიანებზე, რომლებიც არიან განუკურნებელი სენით დაავადებულნი, როგორ სურთ მათ ცხოვრება, იციან რომ ახლო მომავალში წავლენ ამქვეყნიდან, მაგრამ მაინც იბრძვიან. შენ ღმერთი გაძლევს საშუალებას, რომ იცოცხლო. რა უფლება გაქვს საკუთარი ცხოვრების განადგურების!

21-ე საუკუნეში სუიციდის რიცხვმა იმატა: მოზარდებში, 12-დან 17 წლამდე ბავშვებში, რატომ? რა არის ამის მიზეზი? ჩემი აზრით, ერთ-ერთი ინტერნეტია, ვირტუალურ სამყაროში დიდხანს ყოფნა, როდესაც ვუყურებთ ფილმს, როგორ დაფრინავს ადამიანი მიბაძვის სურვილი გვეუფლება. ჩვენ ამ დროს არ ვართ რეალურ სამყაროში და ვაკეთებთ იგივეს. ეს კი მთელ ჩვენს ცხოვრებას წერტილს უსვამს. კიდევ ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს გარდატეხის ასაკი, ასევე, ფსიქიკური აშლილობა. ასეთ შემთხვევაში კი ჩვენთან ახლოს მყოფებმა უნდა შეძლონ ჩვენი გაკონტროლება და საფრთხის აცილება.

მე არ დავჯერდი მხოლოდ ჩემს აზრს და გადავწყვიტე, ამ თემასთან დაკავშირებით სხვისი შეფასებაც მომესმინა.

ადამიანი, რომელიც მონაწილეობას იღებს და ხედავს, რამხელა ტკივილით და ტანჯვით ხდება ახალშობილის დაბადება, პირველი ეხება უცოდველ უსუსურ არსებებს, მან იცის ყველაზე მეტად სიცოცხლის ფასი. მისი დახმარებით ხდება ახალი სიცოცხლის მოვლენა ამ ქვეყანაზე. მისი პროფესია, გინეკოლოგობა ახალი სიცოცხლის, იმედის დაბადებას და კაცობრიობის გაგრძელებას ემსახურება. ამისთვის ჩემს ბებოს, გინეკოლოგ გულნაზ კაშიას გავესაუბრე: “13-დან 17 წლამდე ასაკი არის გარდატეხის პერიოდი. მოზარდებს ეცვლებათ ხასიათი, ადვილად ღიზიანდებიან, მძიმედ აღიქვამენ მცირე პრობლემებს. უჭირთ სწორი გადაწყვეტილების მიღება და გამოსავალს ხედავენ სუიციდში.

უნდა ვეცადოთ მშობლებმა, პედაგოგებმა, უფროსებმა გავუგოთ და ადვილად გადავატანინოთ ბავშვებს ეს პერიოდი.

ჩემო კარგო! დაფიქრდი, როგორ ელოდა შენს გაჩენას 9 თვე შენი მშობელი, როგორი ტკივილი გადიტანა შენი დაბადებისას დედამ და როგორ გაახარა შენმა მოვლენამ ამ ქვეყანაზე, პირველმა ტირილმა. რა სიხარული მოუტანა შენმა გაჩენამ ოჯახს, როგორ ახარებდა შენი წარმოთქმული “დედა”, “მამა”, პირველი გადადგმული ნაბიჯი, სკოლაში პირველი წასვლა და ყველა შენი წარმატება.

ნუ მიაყენებთ დიდ ტკივილს მშობლებს და ახლო ადამიანებს! იცოდეთ, ისინი მზად არიან ყოველთვის გვერდში დგიდგნენ და მოგაგვარებინონ პრობლემები!

ვხედავ, რომ მოდის ძალიან კარგი თაობა, განათლებული, თამამი ახალგაზრდები, ჩვენი ქვეყნის მომავალი. იყავით ძლიერები, გაუფრთხილდით სიცოცხლეს!”

კახა გალდავა, პედაგოგი: “ბოლო დროს გახშირებული სუიციდის ფაქტები საკმაოდ დამაფიქრებელი და შემაშფოთებელია. მართალია, რომ თვითმკვლელობის ნამდვილი მიზეზის დადგენა თითქმის ვერ ხერხდება, მაგრამ ის, რაც საზოგადოებაში გაიჟღერებს ხოლმე არგუმენტად, გულსატკენი და დამამცირებელია ოჯახის, მეგობრის თუ ახლობლებისათვის.

მოზარდებში თვითმკვლელობის გახშირებულმა ფაქტმა არა მარტო ოჯახი და სკოლა უნდა დააფიქროს, არამედ მთელი საზოგადოება. მახსოვს, ერთმა მოსწავლემ თავი მხოლოდ იმიტომ ჩამოიხრჩო, რომ ვერ შეძლო თავი დაეცვა მეზობლის აგრესიისაგან. ხშირ შემთხვევაში ჩვენ გვავიწყდება, რომ საქმე გვაქვს ძალიან სუფთა, ფაქიზ და დიდ ოკეანესთან, რომელსაც ბავშვი, მოზარდი ჰქვია. ჩვენი არასწორი დამოკიდებულება კი იწვევს მათში ისეთი დიდი ზვირთების წარმოქმნას, რომ ხშირად მოზარდი ვერ უმკლავდება, ვერ ახერხებს გაანალიზოს. სამაგიეროს გადახდით, დასჯით და ა. შ. პოულობს გამოსავალს, რომელიც თვითმკვლელობაში ვლინდება.

ვფიქრობ, რომ მეტი სიფრთხილე და მოთმინებაა საჭირო მოზარდებთან ურთიერთობაში. ყოველი გადარჩენილი სიცოცხლე ხომ თავად წარმოქმნის ახალ სიცოცხლეს, ეს კი უდავოდ მშვენიერებაა”.

ნათია რუხაძე, სკოლის მოსწავლე: “ჩემი აზრით, ძირითადად, სუიციდის მიზეზია ოჯახური მდგომარეობა, ძალადობა. სოციალური გარემო, ეკონომიკური პირობები, დაცინვა თანატოლებისაგან, რაც იწვევს იოლად გაღიზიანებას და სხვა მრავალი მიზეზი. მოზარდებს აქვთ უსუსურობის, არასრულფასოვნების განცდა. რაც მათ ირგვლივ ხდება ამ ყველაფრის შეცვლას ვერ ახერხებენ. ამიტომ მიმართავენ თვითმკვლელობას, არ აქვთ მომავლის იმედი.

თითოეულმა მკითხველმა მიდით ერთ აზრამდე, უნდა მიხვდეთ, რომ თვითმკვლელობა გამოსავალი არა არის, რომ არ მიმართოთ თვითმკვლელობას. იბრძოლოთ და დაამარცხოთ თქვენში სისუსტე. ყველაფრის მოგვარებაა შესაძლებელი. დაიმახსოვრეთ, სიცოცხლე ისედაც ხანმოკლეა და მას უფრო ნუ დაამოკლებთ საკუთარი ხელებით, “სიცოცხლე ცეცხლს მოჰგავს, მისი დასაწყისი ალია და დასასრული ნაცარი”.

ნანა ქასპარაძე

სოსო თიოდუას გახსენება

ბედისწერის ერთ წუთში ცათა სასუფეველს შეემატა შენი ბედნიერი სული. დედამიწაზე კი დარჩა დედის უსაზღვრო მწუხარება, სიკვდილის მნატვრელი და მომლოდინე და მეუღლე _ შენი ბედნიერება და სიყვარული.

თავად სწუხდნენ და ჩვენს მწუხარებას იზიარებდნენ: ახლობლები, მთელი სანათესაო, მეზობლები, შენი კლასელები, კურსელები, ქორეოგრაფები, სამხედრო და სამსახურის კოლექტივები, ქალაქის ახალგაზრდობა, რომ იტყვიან, “ზღვა ხალხი”, მაგრამ არავის არაფრის შეცვლა არ შეეძლო. ეს ის შემთხვევა იყო, როცა ამბობენ: ღმერთსაც კარგი უყვარსო. შენებური მომღიმარე და თვალებმოციმციმე. მადლობა ყველას. ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეთ მათ.

შენს სულს კი _ შენდობა და ნათელი სასუფეველი!

ჯანი სულისთვის მლოცველი ჟირისუფალი

ოფელია ენგიბარიანი

წავიდა, ერთდროულად გაიხურა სახლისა და სკოლის კარი. ბევრი ფიქრი და აუხდენელი ოცნება გაიყოლა თან. დიდი ხანია, ერთად მოვდივართ. წლების თანამშრომლობამ მტკიცე მეგობრებად და ლამის ოჯახის წევრებად გვაქცია:

“გახსოვდეთ მაშინ, როცა ვერ მხედავთ და არა მაშინ, როცა შემხედავთ”.

ოფელია ენგიბარიანი

“საქმე კარგი დედაკაცობაა, რომელსაც სხვა დიდი ტვირთი აწევს ქვეყნისა და ერის წინაშე”...

ილია ჭავჭავაძე

კარგი დედაკაცობის მადლი და ნიჭი უხვად დაენათლა სოფელ გომის საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის უფროს მასწავლებელს ოფელია ენგიბარიანს. ჩვენი სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა შესანიშნავი პედაგოგი, რუსული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი ოფელია ენგიბარიანი.

ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობით მან დიდი ამაგი დასდო მომავალი თაობის აღზრდის საქმეს.

მის სახელს ყოველთვის ამშვენებდა ნათელი აზროვნება, დიდი ერუდიცია და ჭეშმარიტებისადმი ერთგულება, უშრეტი ენერგია, დაუცხრომელი ძიება, ხასიათის სიმტკიცე, ნიჭიერება, ფოლადისებური ნებისყოფა. ასეთი იყო თვითონ და ამასვე უნერგავდა სხვებსაც.

ძნელია საბოლოოდ გამოეთხოვო ადამიანს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდას.

ქალბატონო ოფელია, თქვენ ხომ უსაზღვროდ გიყვარდათ თქვენი აღსაზრდელები და დიდი გულისტკივილით გემშვიდობებიან ისინი.

ისინი და ჩვენ, თქვენი მეგობრები სათუთად შევინახავთ ჭეშმარიტი მასწავლებლის ნათელ ხსოვნას და ურყევად გავუფრთხილდებით თქვენს სპეტაკ სახელს. როგორც აღვნიშნავდით: “ადამიანი მიდის, საქმე _ ნამოქმედარი რჩება, ტრადიცია მომავლის გარეშე არ არსებობს”.

მოულოდნელმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი. მხოლოს 59 გაზაფხულს მოესწარი, სიცოცხლეზე გულდაწყვეტილი წახვედი, როგორ ადრე შემოგაღამდა, ჩვენო საყვარელო დაიკო, ცხოვრების გზაზე!

არასდროს დაგივიწყებთ შენი მეგობრები, შენი მომღიმარი სახე და ჭკვიანი თვალები სამუდამოდ იცოცხლებს ჩვენს მეხსიერებაში და გულებში. რამდენი აუხდენელი ოცნება გაგყვა... ჩვენო ძვირფასო...!

ბოგის პედაგოგიური კოლექტივი

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძნობს ეკა სანიკიძეს
ბებიის
გარდაცვალების გამო.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძნობს ნანა ვაშაკიძეს
დედის
გარდაცვალების გამო.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძნობს ლია და მაია სტურუებს ძმის
თამაზ სტურუას
გარდაცვალების გამო.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა
მამუკა ჩიხლაძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძნობს მზია ჩიხლაძეს ძმისშვილის
მამუკა ჩიხლაძის
გარდაცვალების გამო.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძნობს თამილა ასათიანს მეუღლის
მამუკა ჩიხლაძის
გარდაცვალების გამო.

ვალერი თევზაძის ოჯახი იუწყება ნათლიის
მამუკა ჩიხლაძის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

იუბილე

ცოცხალი ლეგენდა _ ნონა გაფრინდაშვილი 75 წლისაა

მსოფლიოში აღიარებული სპორტსმენის, ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის იუბილემდე დღეებია დარჩა, თუმცა, ამ წერილს იმიტომ ვწერთ ოდნავ ადრე, რომ სამტრედიაში, სადაც უყვართ ჭადრაკი, პატივს სცემენ ქალბატონ ნონას, აქედანვე მოემზადონ ჭადრაკის მოყვარულნი, მწვრთნელ-მასწავლებლები, ჭადრაკში სასკოლო და მუნიციპალური ჩემპიონატების ჩასატარებლად, რომლებიც ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილის იუბილეს მიეძღვნება.

ნონამ ასახელა საქართველო, მსოფლიო გააოცა საკუთარი შესაძლებლობებით.

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ბრწყინვალე შედეგებს აღწევდა ვაჟთა ტურნირებშიც. მას მრავალი მამაკაცი დიდოსტატი დაუმარცხებია სხვადასხვა დროს.

ნონა გაფრინდაშვილს ქალთა ჭადრაკის ისტორიაში პირველად მიენიჭა დიდოსტატის წოდება მამაკაცთა შორის.

პაულ კერესი ხუმრობდა: ქალები მამაკაცებზე უარესად იმიტომ თამაშობენ ჭადრაკს, რომ ვერ ძლებენ დიდ ხანს ჩუმად ისხდნენ დაფასთანო.

თუმცა, ეს ნათქვამი არ ეკუთვნის ნონას.

ქალბატონი ნონა ერთობ პოპულარულია ბლიც თამაშებშიც.

ბლიც სეანსში მან 13 შესაძლებლობიდან 13 ქულა მოაგროვა და ბლიცის შესანიშნავ ოსტატს, მიხეილ ტალს სძლია.

ნონა გაფრინდაშვილი პირველი მოჭადრაკე ქალია, რომელსაც 1982 წელს "ოსკარი" მიენიჭა.

ნონას სპორტული მიღწევებით აღფრთოვანებული ქართველები ამერ-იმერში გულითადად მასპინძლობდნენ ჭადრაკის დედოფალს.

"სამტრედიის მაცნეს" ფოტოარქივში მრავლადაა უკვე ისტორიადქცეული ფოტოები, რომლებიც სამტრედიაში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის სტუმრობისა და შეხვედრის საზეიმო წუთებს აღნიშნავენ.

ნანა ალექსანდრია...

მაია ჩიბურდანიძე...

ნინო გურიელი...

სხვადასხვა რანგის ჩემპიონ ქალბატონებთან ერთად სამტრედიელები დიახაც ვამაყობთ მერი არაბიძით, სოფიკო ტერელაძით... მათაც ხომ არაერთხელ ასახელეს ჭადრაკის ლამაზი თამაშით მშობლიური კუთხე.

რამდენიმე დღეც და...

საქართველოში ღირსეულად აღინიშნება ჭადრაკის დედოფლის, ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის 75 წლის იუბილე.

მრავალჟამიერი გვისურვებია ჩვენი დროის ცოცხალი ლეგენდა ქალბატონისთვის, ესოდენ ამაგი, რომ დასდო მსოფლიოში ქალთა ჭადრაკის პოპულარიზაციას, განვითარებას.

ლევან გაბეჩავა

მის დანახვაზე უმალ შეკრთება
ნებისმიერი კაცი გურმანი,
საჭმელს არ ჭამსო? _ ბევრი იკითხავს,
ლექსი მკვებავსო! _ ეტყვის მურმანი.

ვულოცავთ!

ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარეს, ომისა და შრომის ვეტერანს, ბატონ რევაზ კანდელაკს ვულოცავთ დაბადების დღეს, ხანგრძლივ, ბედნიერ ცხოვრებას ვუსურვებთ ოჯახთან ერთად.

ვეტერანთა რაიონული კავშირი

დაბადების დღეს გილოცავთ, ღვაწლმოსილო ადამიანო, იხარეთ და იდღეგრძელეთ!

პატივისცემით "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია

ნონა ფანცულაიას!

ჩვენო ძვირფასო, ნონა, სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ სიხარულით სავსე დღეებს შენს დედისერთა ლიზისთან ერთად. წარმატებები არ მოგკლებოდეს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია

ოთარ გოგისვანიძე ევროპის ჩემპიონი

7 აპრილს დაიწყო და 11-მდე გასტანა ევროპის ჩემპიონატმა ჭიდაობა სამბოში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის, რომელიც საფრანგეთის ქალაქ ტულუზაში გაიმართა.

ბებერი კონტინენტის ჩემპიონატში 30 ქვეყანა მონაწილეობდა. მათ შორის 82 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს ღირსებას სამტრედიელი ოთარ გოგისვანიძე იცავდა.

19 წლის ოთარი სამტრედიის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" აღზრდილია (დირექტორი ირაკლი მელაშვილი). 10 წლიდან მას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ავთანდილ თარგამაძე წვრთნიდა.

ჭაბუკობის ასაკში ოთარ გოგისვანიძეს ბევრჯერ მიუღწევია უმაღლესი შედეგებისათვის: იყო 2014 წლის საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობა ძიუდოში, მრავალგზის პრაზიორი. იყო და არის საქართველოს ნაკრების წევრი. ნაკრების სახელით ასპარეზობდა გერმანიაში, თურქეთში და სხვადასხვა ქვეყნებში.

რაც შეეხება ბოლოდროინდელ მიღწევას, საფრანგეთში ოთარი ტრავმირებული წავიდა, რამაც იგი "ოქროს" დააშორა.

"ბებერი კონტინენტის" ჩემპიონატს და ოთარის ორთაბრძოლებს მისი მწვრთნელი ავთანდილ თარგამაძე ასე აფასებს: "აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატი წლის ყველაზე საუკეთესო შეჯიბრებაა, აქ მოპოვებული ყველა მედალი განსაკუთრებული პატივია ნებისმიერი თაობის სპორტსმენისთვის. მით უმეტეს ოთარისთვის, იგი მე-20 წელშია და ახალგაზრდებში კიდევ ერთი წელი აქვს სასპარეზო. თუ თვალს გადავავლებთ ტულუზაში სამტრედიელი ფალავნის ორთაბრძოლებს, ოთარი ამარცხებს აზერბაიჯანელ, ბულგარელ, რუმინელ, ფრანგ მოჭიდავეებს და ოქროს მედლისთვის უთანასწორო ბრძოლაში ბელორუს სამბისტთან 3 : 3 მარცხდება. ამდენად, ტრავმირებული ოთარი ახერხებს მამაცობის ხარჯზე საქართველოსთვის მედლის მოპოვებას".

ოთარ გოგისვანიძის ევროპის მედალი საგზურია მსოფლიო ჩემპიონატზე გასამარჯვებლად, რომელიც ოქტომბერში გაიმართება.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ავთანდილ თარგამაძე მადლობას უხდის კოლეგებს, ბესარიონ შვანგირაძეს და ბადრი შენგელიას, ოთარ გოგისვანიძის გამარჯვებაში გაწეული ნაყოფიერი შრომისათვის: "ამ მწვრთნელთა კოლექტივის ერთობლივი მუშაობის ხარჯზე ეს უკვე მერვე მედალია, რომელიც სამტრედიელმა ძიუდოისტებმა და სამბისტებმა მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატზე".

ნინო ნანიტაშვილი

ლიზი ქანთარია!

ჩვენო ძვირფასო ლიზი, ბედნიერები ვართ ყველანი, რომ შენ ამ ქვეყანას მოევლინე. მოევლინე გაზაფხულის ყვავილად, სიცოცხლის და სიყვარულის ელექსირად. ბედნიერი ვართ, რომ ასეთი ლამაზი, მშვენიერი და სიცოცხლით სავსე გვაჩუქეს შენი თავი შენმა მშობლებმა. 28 აპრილს 7 წლის გახდები, მუდამ ხალისით სავსე დღეებს გისურვებ. გაიხარე, უფალი გფარავდეს!

ბებრ ი ზ ლ ა ნ ა ნ ა ლ ი რ ა ძ ე, ბ ა ბ უ ა ძ ო ა ქ ა ნ თ ა რ ი ა

მარი ბარბაქაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო მარი, წარმატებებს გისურვებთ სწავლასა და შემოქმედებით სარბიელზე, უფალი გფარავდეს!

ფეოლეორული ჯგუფი "ლადი"

ჩვენო საყვარელო მარი, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ბედნიერ მომავალს, ულევ სიხარულსა და სიყვარულს. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს!

შენი მეგობრები: თეკა არჯელაძე, მარიამ ღურაგლიშვილი, ნინო თევზაძე

გილოცავ, ჩემო სიხარულო, ჩემო ფერიავ, შენ ჩემი უდიდესი ბედნიერება ხარ, ღმერთი იყოს შენი მფარველი.

დედა

ქვეყნიერებისა

იუბილარია, მას ამ დღეებში 91 წელი შეუსრულდება. განსაკუთრებულია ქართველი ერისა და საქართველოს წინაშე საინჟინრო და ეროვნული აკადემიების წევრის, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის, სოფელ ბაშში აღზრდილი ვაჟკაცის, გენერალ გიორგი ივანეს ძე ხაზარაძის ღვაწლი და ამაგი.

მან გასული საუკუნის მიწურულს, როცა ფირმა "საიმედოს" ხელმძღვანელობდა, მრავალჯერადი ფინანსური და მორალური დახმარება აღმოუჩინა გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" მის რედაქციას.

დაუვიწყარია ყოველივე.

რომ არა ბატონი გიორგი და მისებრ სიკეთის მთესველნი, გაზეთი დღეს არ იარსებებდა. ბატონ გიორგიმდე კი გზა მისმა სიყრმის მეგობარმა, ღვაწლმოსილმა ჟურნალისტმა ბატონმა ოთარ ნაფეტვარიძემ გაგვიკაფა.

პატივისცემითა და სიყვარულით, უსაზღვრო მადლიერების გრძნობით ვულოცავთ იუბილეს ბატონ გიორგი ხაზარაძეს და ხანგრძლივ, ჯანმრთელ სიცოცხლეს ვუსურვებთ.

ლევან გაბეჩავა

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა